

HELLO!
GEORGIA
#013 • აგვისტო
2017 • 4.00₾
EXCLUSIVE
INTERVIEW AND PHOTOSHOOT
როდი & კენი სტიუარტი
იტალიური ქორწილიდან 10 წლის შემდეგ
გიორგი ბახუტაშვილი
ოჯახსა და წარმატებაზე
ვიქტორია სვაროვსკი
ექსტრავაგანტური და მდიდრული ქორწილი
დათო და ლიკა ევგენიძეები
ერთი დიდი მეგობრული ოჯახი
SUMMER Special
+270
სეზონური რჩევა
ლეო მესი
ქორწილი, რომელმაც მთელი მსოფლიო ალაპარაკა
ISSUN 2449-2590

# DHL საქართველო

## საიმედო, მოქნილი და ეკონომიური სახმელეთო გადაზიდვების ფართო სპექტრი




**DHL** საქართველო – ა. წერეთლის გამზ., 105, თბილისი, 0119
**freight@dhl.ge**; **fb/dhlgeorgia**; ტელ: **(+995) 322 69 60 60/322 69 99 66**









აღმოაჩინე PANDORA-ს ზაფხულის ახალი კოლექცია
TIME-ის ფილიალებსა და PANDORA-ს კონცეპტუალურ მაღაზიაში.

PANDORA

TIME

რუსთაველის 46
პეკინის 18
ს/ც ჯი-თი-სი
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფოინთი
აღმაშენებლის 98
+995 322 000 280

# რედაქტორის წერილი

## *HELLO!-ს პირველი ნომრის გამოსვლიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ყველაზე ფერად, მხიარულ და საზაფხულო საიუბილეო გამოცემას წარმოგიდგენთ*

იმედი მაქვს, ჩვენი ერთგული მკითხველისთვის ეს თარიღი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი სარედაქციო გუნდისთვის. მადლობას გიხდით გამოხმაურებისა და დადებითი შეფასებებისთვის! თქვენი მოსაზრება ჩვენთვის ყველაზე დიდი სტიმული და მოტივაციაა!

ცხადია, აგვისტოს ნომერში განსაკუთრებულ ყურადღებას დასვენებასა და საზაფხულო არდადეგებს დავუთმობთ. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, სხვა უამრავ სიახლესთან და საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, ქართველი ვარსკვლავების დასვენებისა და მოგზაურობების შესახებაც წაიკითხავთ. შეიტყობთ, როგორ ატარებს ზაფხულს ცნობილი დიზაინერი **ქეთი ჩხიკვაძე**, MORE IS LOVE-ის დამფუძნებელი **ნინო ელიავა**, ბლოგერი პარიზიდან **კრისტი გოგსაძე**.

ამ ნომერში ასევე შეხვდებით მეგაშოუს „ცეკვავენ ვარკვლავები“ გამარჯვებულს – **გიორგი ბახუტაშვილს**. მსახიობი და ტელეწამყვანი ჩვენს ფოტოობიექტივში მეუღლესთან, ქალიშვილთან და მის პარტნიორთან – **ჯულიანა ბარგნართან** ერთად აღმოჩნდა.

ცხადია, LIFESTYLE-ის ბლოკშიც ყველაფერი დასვენებისა და საზღვაო სეზონის გარშემო ტრიალებს. თუ უახლოეს მომავალში შვებულებაში გასვლასა და საოცნებო კურორტზე გამგზავრებას გეგმავთ, მაშინ ჩვენ მიერ შედგენილი მოდური ტენდენციები აუცილებლად გამოგადგებათ – HELLO!-ს მოდის რედაქტორი გირჩევთ როგორ შეიმოსოთ სხვადასხვა სტილის ზღვისპირა წვეულებისთვის, ასევე გაგაცნობთ აგვისტოს ყველაზე მოდურ ტონალობას – ლაჟვარდისფერს.

სილამაზისა და თავის მოვლის რუბრიკაში, საზღვაო სეზონისთვის იდეალური ფორმის შეძენასთან დაკავშირებით გირჩევთ – გაიგებთ როგორ მოამზადოთ კანი მზის აბაზანებისთვის, როგორ მიიღოთ იდეალური ტონის რუჯი და როგორ აიცილოთ თავიდან თმის გამოშრობა და მტვრევადი ბოლოები.



ვფიქრობ, აგვისტოს ნომერი ნებისმიერ სიტუაციაში იქნება თქვენთვის იდეალური განტვირთვისა და თავის შექცევის საშუალება – მათთვის, ვინც უკვე გაემგზავრა დასასვენებლად, სანაპიროზე საკმაოდ სახალისო და საინტერესო საკითხავს, ქალაქში დარჩენილებს კი თავისუფალი დროის მხიარულად გატარების საშუალებას გთავაზობთ.

გიტოვებთ აგვისტოს ფერად, საზაფხულო ნომერს, და გისურვებთ ბედნიერ დასვენებას! მე კი შემოდგომამდე გემშვიდობებით.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 16



გვ. 84



გვ. 102



გვ. 80


Delfy
LONDON MAKE-UP
MADE IN ITALY
MELANGE
ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲢᲣᲩᲡᲐᲪᲮᲘ
ᲙᲠᲔᲛᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲗ
უნიკალური დიაზინის წყალობით თქვენ შეგიძლიათ
ცვალოთ ტუჩსაცხის ტონი თქვენი განწყობის მიხედვით
აფაქიძის ქ. 11, თბილისი; ტელ.: 995 (032) 2 903 803
www.delfycosmetics.com DelfyCosmetics Delfycosmetics
ᲚᲝᲢᲣᲡᲘ

HELLO! GEORGIA
#013 • აგვისტო • 2017

# სარჩევი



82 AQUA BLUE MERMAID



სტიუარტების ქორწილი 42



ქრისტი გოგსაძე 16



გიორგი ბახუტაშვილი 10

## ვარსკვლავური ისტორიები


10 **გიორგი ბახუტაშვილი**
მეგაშოუს გამარჯვებული ოჯახისა და წარმატების შესახებ

16 **ქართველი სელებრითების**
ცხელი საზაფხულო არდადეგები

24 **დათო** და **ლიკა ევგენიძეების**
ერთი დიდი მეგობრული ოჯახი

34 **ვიქტორია სვაროვსკის**
ექსტრავაგანტური და მდიდრული ქორწილი

42 **სერ როდი** და **ლედი სტიუარტები**
იტალიური ქორწილიდან 10 წლის შემდეგ

54 **ლეო მესი** და **ანტონელა როკუცო**
ქორწილი, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა

64 **ოლეგ ტიმჩენკო** - ცნობილი ქართველი მხატვრის შემოქმედება და ცხოვრება


## მუდმივი რუბრიკები


22 **CINEMA MATTERS**
შუქი! კამერა! გადაღება!

30 **PANORAMA** – ქალთა სოლიდარობის მარში

34 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

60 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

114 **HALF HOUR** – ანა კიტია

დასაწ. **75** გვ.-დან


**lifestyle**

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



## შეიძინეთ პრემიუმ კლასის მზისგან დამცავი და რუჯის შემდგომი ფრანგული საშუალებები

# 20% -დან 50% -მდე

ფასდაკლებით და მიიღეთ საჩუქრები





მიიღე მზისგან მხოლოდ
საუკეთესო



# მეგაშოუს გამარჯვებული

# გიორგი ბახუტაშვილი

## ოჯახისა და წარმატების შესახებ

თეატრალების სამყაროში წლებია ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრიდან იცნობენ. ფართო მასებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ტელესერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალგაზრდა პოლიტიკოს ცოტნე ცოტაშვილის როლი მოირგო. გასულ წელს კი „ტელეიმედზე“ გადავიდა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. გიორგი ბახუტაშვილმა მონაწილეობა შოუში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მიიღო. HELLO! ქართველ მსახიობს უკვე პროექტის გამარჯვებულის რანგში გაესაუბრა. როგორი იყო ბოლო სამი თვე ახალგაზრდა არტისტისთვის? რას ფიქრობს მეწყვილეზე და რა შეცვალა პროექტმა გიორგის ოჯახში? ამ ყველაფერს ექსკლუზიურად HELLO!-ს მკითხველი გაიგებს.

**ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული ფინალი იყო განსაკუთრებული დაძაბულობით...**

**გიორგი:** მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წინასწარმეტყველებდა ასეთ ფინალს, ბოლო პერიოდი მაინც ძალიან დაძაბული იყო. წინასწარ ვერასოდეს იტყვი, როგორ განვითარდება მოვლენები, ასე რომ ამისთვის მზად არავინაა. გამიმართლა, რომ ჯულიანა საოცარი ადამიანია. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რასაც მაყურებელი ისედაც ხედავს. ყველამ იცის, რომ არაჩვეულებრივი მოცეკვავეა. გარდა ამისა, ის ძალიან კარგი პარტნიორია. ყოველთვის იმის შეგრძნება მქონდა, რომ ბოლომდე შემეძლო მისი ▶



მუსკომედიის თეატრი ერთადერთი ადგილია, რომელსაც სამსახურს არასოდეს ვუწოდებ. ეს ერთი დიდი ოჯახია, რომელიც თავის წევრს უფრთხილდება და ყველაფერში გვერდით უდგას

„ბეას შემთხვევაში ის მოხდა, რასაც არ ველოდით. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც გიორგის ნახულობდა, აღარავის გვეკარებოდა. გადაცემას ჩვენთან ერთად უყურებდა ხოლმე და მამამისის ცეკვას რამდენჯერმე გვამეორებინებდა, სხვების გამოსვლები აღარ აინტერესებდა“ - თაკო



**„სანამ პროექტი დაიწყებოდა, მეშინოდა, რომ ბეა გადამეჩვეოდა და მაქსიმალურად ვცდილობდი მასთან ერთად დრო ხშირად გამეტარებინა. საბოლოოდ, სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. ზრდასრული ადამიანივით ვენატრებოდი და ის ნახევარი საათი, როდესაც გვიან საღამოს, დაღლილი ვნახულობდი, აღარ მიშვებდა“ - გიორგი**

ნდობა. თავიდანვე ერთი გუნდი ვიყავით და ვიბრძოდით კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

**ჯულიანა:** ყოველთვის მიადვილდება დადებით ადამიანებთან ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ გიორგი ერთ-ერთი ყველაზე მხიარული ადამიანია, რომელთან ერთადაც დროის გატარება ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. იმდენი დასაფასებელი თვისება აქვს, რომ შეუძლებელია რაიმე საერთო არ იპოვო მასთან. ამას ვამბობ ჩვენი მუშაობის დაწყების პირველი დღიდან. პირველად ვიგრძენი, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, რაღაც ძალიან მაკლია.

**რამდენად სტრესული იყო ბოლო სამი თვე თქვენთვის?**

**გიორგი:** ყოფილა 2-კვირიანი უძილობისა და დაღლილობის ფონზე მცირე კამათები, მაგრამ საბოლოო ჯამში ჯულიანა ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორია და ვფიქრობ ძალიან გამიმართლა. ალბათ ყველა ხვდება ჩვენს წარმატებაში ჯულიანას რამხელა წვლილი მიუძღვის.

**ჯულიანა:** ფინალური კვირა ალბათ ყველაზე დაძაბული იყო. ჩვენი ტაქტიკა იდეალური გამოდგა – ყოველი ტურის შემდეგ ვთიშავდით ტვინს, ვივიწყებდით ჩავლილ ტურს და ახალ მიზანს ვისახავდით. ყოველ ჯერზე მიზანი წინამორბედი გამოსვლის გაუმჯობესება და რაღაც უკეთესის შექმნა იყო. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ნახევარფინალის ცეკვები ჩემთვის ყველაზე საყვარელი გამოსვლაა. ეს იყო LA LA LAND და ვალსი. ამ ტურის შემდეგ, გამოსვლას დაახლოებით 20-ჯერ ვუყურეთ და მივხვდით, რომ ფინალი რაღაც ძალიან განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო.

**შეიძლება ითქვას, რომ გიორგი თქვენი საუკეთესო მეწყვილეა?**

**ჯულიანა:** არ მიყვარს ადამიანების გამოყოფა და არასოდეს ვახარისხებ მეწყვილეებს, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ეს სეზონი ჩემთვის ძალიან განსაკუთრებული იყო და გიორგიც განსაკუთრებული პიროვნებაა.

**თაკო, ოჯახში როდის იგრძენით დაძაბულობა?**

**თაკო:** თავიდან ყველაფერს არასერიოზულად ვუყურებდით და უბრალოდ გვიხაროდა, რომ ტურიდან ტურში გადადიოდა. ბოლოს სიტუაცია დაიძაბა. რაც უფრო უახლოვდებოდა ფინალს, მით მეტად ვნერვიულობდით. აღმოჩნდა, რომ მეც და გიორგისაც საოცარი სამეგობროები გვყავს. ეს გამარჯვება ყველა მათგანს ეკუთვნის.

**ბეამ თუ უყურა ფინალს?**

**თაკო:** ჩვენს მეგობართან ვუყურებდით ფინალს. ბეა შინ დავტოვე, დედაჩემთან. ის ცალკე ემოციებში იყო, მე ცალკე ვიყავი გაოგნებული. ბეას ეძინა, მაგრამ ახლა რომ ვეკითხებით – რა ქნა მამამ? ამბობს, რომ მამაჩემი გამარჯვებულიაო.

**3-თვიანი მძიმე გრაფიკი თუ დაეტყო მამა-შვილის ურთიერთობას?**

**გიორგი:** სანამ პროექტი დაიწყებოდა, მეშინოდა, რომ ბეა გადამეჩვეოდა და მაქსიმალურად ვცდილობდი მასთან ერთად დრო ხშირად გამეტარებინა. საბოლოოდ, სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. ზრდასრული ადამიანივით ვენატრებოდი და ის



**გიორგი ყოველთვის 100 პროცენტით იხარჯება, როდესაც რაღაცას მოჰკიდებს ხელს**

ნახევარი საათი, როდესაც გვიან საღამოს, დაღლილი ვნახულობდი, აღარ მიშვებდა. არის პერიოდები, როდესაც იშვიათად ვარ შინ, თუმცა ახლა ცოტა ხანი სამსახურში აღარ ვიქნები – რაღაცნაირად ვაბალანსებ ამ ყველაფერს. რაც შეეხება თაკოს, ის ერთ-ერთი ყველაზე გამგებიანი ადამიანია. ეს კომფორტი რომ არ მქონდეს, ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა. ზოგადად, ჩვენ ორს შორის მე უფრო ვარ ეჭვიანი, ასე რომ თაკო ასი პროცენტით მიგებს.

**თაკო:** გიორგი ყოველთვის ასი პროცენტით იხარჯება, როდესაც რაღაცას მოკიდებს ხელს. რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო ეს პერიოდი, თუმცა მაქსიმალურად ვუწყობდი ხელს. ბეას შემთხვევაში კი ის მოხდა, რასაც არ ველოდით. იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც გიორგის ნახულობდა, აღარავის გვეკარებოდა. გადაცემას ჩვენთან ერთად უყურებდა ხოლმე და მამამისის ცეკვას რამდენჯერმე გვამეორებინებდა, სხვების გამოსვლები აღარ აინტერესებდა. ჯულიანაზე პირველი ცეკვიდან „გაგიჟდა“ და მუდამ მისი სახელი ეკერა პირზე. ▶





**„ფინალური კვირა ალბათ ყველაზე დაძაბული იყო, ჩვენი ტაქტიკა იდეალური გამოდგა“**

**როგორც ვიცი, მუსიკისა და დრამის თეატრიც ძალიან გიწყობდათ ხელს...**

**გიორგი:** ჩემმა ყველა მეგობარმა გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. სხვა შემთხვევაში, ყველაფერი ასე არ იქნებოდა. მუსკომედიის თეატრი ერთადერთი ადგილია, რომელსაც სამსახურს არასოდეს ვუწოდებ. ეს ერთი დიდი ოჯახია, რომელიც თავის წევრს უფრთხილდება და ყველაფერში გვერდით უდგას. მათთან ერთად გვერდით მედგა ჩემი ოჯახი, მეგობრები, თანაკლასელები... ჩვენ სცენაზე ვიბრძოდით, ისინი – გარეთ.

**წარმატებული სატელევიზიო სეზონის შემდეგ, როგორი გეგმები გაქვთ?**

**გიორგი:** არ ვიცი რამდენად მოხერხდება „ჩემი ცოლის დაქალებში“ ჩემი დაბრუნება. ამ ეტაპზე ნაკისრი ვალდებულებები არ მაძლევს ამის საშუალებას, თუმცა მიმაჩნია, რომ ამის მოგვარებაც შესაძლებელია. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, ესეც ახალი გამოწვევაა ჩემთვის. გადაცემა „მეგობრების“ ერთი სეზონი უკვე ჩავიარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიაში მუშაობის გამოცდილება უკვე მაქვს, ეს პროექტი მაინც კომედიური ჟანრისაა და თავისთავად სიახლეს წარმოადგენს. ჩემი აზრით, ALL STARS-ში მოვხვდი. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თანაწამყვანებიც ნამდვილი მეგობრები არიან. ბოლო 3 თვის განმავლობაში ყველა მათგანი ხელს მიწყობდა და გვერდით მედგა.

**ერთი ფრთიანი ფრაზა, რომელსაც ამ შოუს დასრულების შემდეგ ამბობ?**

**გიორგი:** ადამიანს საკუთარ თავს ზემოთ ახტომა არ შეუძლია, მაგრამ საკუთარ თავთან ომის მოგება რომ შეუძლია, ამაში უკვე დავრწმუნდი.

---

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო:** იკა პირველი
**სტილი:** თეონა ელიზბარაშვილი
**მაკიაჟი:** BEAUTY EXPRESS
ანა გადელია
**სამოსი:** AVTANDIL, LALO
**ლოკაცია:** IBIS STYLES CENTER TBILISI



„გამიმართლა, რომ ჯულიანა საოცარი ადამიანია. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რასაც მაყურებელი ისედაც ხედავს. ყველამ იცის, რომ არაჩვეულებრივი მოცეკვავეა“

„ყოველთვის მიადვილდება დადებით ადამიანებთან ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ გიორგი ერთ-ერთი ყველაზე მხიარული ადამიანია, რომელთანაც ერთადაც დროის გატარება ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა“ - ჯულიანა

# ცხელი საზაფხულო არდადეგები

### ქართველი ბლოგერი პარიზიდან

## ქრისტი გოგსაძე

**„ზაფხულში აუცილებლად მჭირდება ზღვა და სიწყნარე, ძალიან მსიამოვნებს სიმშვიდეში ყოფნა“**



**ქრისტი, გიყვართ ზაფხული?**

**ქ.გ.** ზაფხული ჩემი ფავორიტი სეზონია. პარიზში ვცხოვრობ და სამწუხაროდ ოჯახის წევრებს ხშირად ვერ ვნახულობ, ამიტომ ზაფხულის ორი კვირა ექსკლუზიურად მათთვის მაქვს გამოყოფილი. აგვისტოში ვარ დაბადებული, ამიტომ დასვენებას და გართობას ჩემი დაბადების დღის აღნიშვნაც ემატება და საბოლოოდ, ძალიან ლამაზი პერიოდი გამოდის.

**ზაფხულის არდადეგებს განსაკუთრებულად ელოდებით?**

**ქ.გ.** ხანდახან ისეთი სტრესული გრაფიკით მიწევს მუშაობა, რომ ძალიან მჭირდება გარკვეული პერიოდით განმარტოება და დეტოქსი – როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. ამ დროს ვცდილობ მაქსიმალურად სწორად ვიკვებო. ასევე ვცდილობ მწეველებს მოვერიდო და რაც შეიძლება სუფთა გარემოში დავისვენო.

**სად გიყვართ დასვენება – მთაში თუ ზღვაზე?**

**ქ.გ.** ძალიან მიყვარს მთაც და ზღვაც. ბავშვობაში ძირითადად მთაში ვისვენებდი, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია ზაფხულს მეტწილად ზღვაზე ვატარებ. როცა ვალენსიაში ვცხოვრობდი, აგვისტოს თვეს ქალაქგარეთ, პლაჟზე – იბიცაზე ან ფორმენტერაზე ვატარებდი. რაც საცხოვრებლად პარიზში გადმოვედი, მას შემდეგ სხვა ზღვისპირა ქალაქებსაც ვსტუმრობ. ყველაზე ხშირად ბელგიაში – კნოკეში, და საფრანგეთში – დოვილში ჩავდივარ.

**აქტიური დასვენება გიყვართ თუ პასიური?**

**ქ.გ.** უფრო პასიური. ძალიან მიყვარს ძილი, პლაჟზე წამოწოლა და წიგნის ან ჟურნალის კითხვა.

**წელს სად ისვენებთ, რის მიხედვით შეაჩერეთ ყურადღება ამ ადგილზე?**

**ქ.გ.** ახლახან ვიყავი დოვილში და დინარდში. საფრანგეთის ეს მხარე ძალიან ლამაზია, ულამაზესი პლაჟებია. ასევე, ერთი დღით მონტ სან მიშელსაც ვესტუმრე და სილამაზემ გამაოცა. რამდენიმე დღეში იბიცაზე მივდივარ. ეს კუნძული ჩემთვის სილამაზესთან და სიწყნარესთან ასოცირდება. კლუბებისგან მოშორებით ვიქირავე სახლი – მინდა ყველა საიდუმლო და პატარა პლაჟი მოვინახულო. იბიცას შემდეგ, ვალენსიაში წავალ ორი კვირით – ჩემი ოჯახისა და მეგობრების მოსანახულებლად.

**დასასვენებლად ბევრი ჩემოდნით მიდიხართ თუ მხოლოდ აუცილებელი ნივთები მიგაქვთ?**

**ქ.გ.** ჩემი ბლოგიდან და სოციალური ქსელიდან გამომდინარე, ყოველთვის ვფიქრობ სად რამდენი ფოტო უნდა გადავიღო. ყველა ფოტოსთვის განსხვავებული Look-ი მჭირდება, ამიტომ ყოველი დღისთვის ახალი სტილი მაქვს გათვლილი. დასასვენებლად ყოფნის დროს ხშირად ვშოპინგობ, დაბრუნებისას კი, ბარგის ჩალაგების პრობლემა ხშირად მაქვს.

ფოტო: SEBASTIAN PRR.



> „სექტემბერი ძალიან დატვირთული თვე მექნება – მოდის კვირეულები და ახალ ბრენდებთან ურთიერთობა მელოდება“



**რა უნდა გქონდეთ აუცილებლად გარდერობში, როდესაც დასასვენებლად ხართ?**

**ქ.გ.** რაც შეიძლება მსუბუქი სამოსი. საცურაო კოსტიუმი, ქუდი (შლაპა), შორტები და რამდენიმე საზაფხულო თხელი კაბა ჩემთვის სავსებით საკმარისია. თუ ზღვისპირას ვისვენებ, ერთი საცურაო კოსტიუმი, პარეო, შლაპა და სათვალე უკვე ფანტასტიკურ Look-ს ქმნის.

**რამდენი დღე გჭირდებათ კარგად დასვენებისთვის? მალე გბეზრდებათ ერთ ადგილას ყოფნა?**

**ქ.გ.** დასვენების მიუხედავად, მაინც მიწევს ყოველდღიურად მუშაობა, ასე რომ უსაქმურად არასოდეს ვარ. თუ კარგად ვისვენებ, დიდი ალბათობაა, რომ არასოდეს მომბეზრდეს, თუმცა სადაც უნდა წავიდე, 24 საათის გასვლის შემდეგ პარიზი უკვე საოცრად მენატრება. ამიტომ ყოველთვის ძალიან მიხარია შინ დაბრუნება. ▶

MORE IS LOVE-ის დამფუძნებელი

# ნინო ელიავა

**„ზაფხულზე მეტად არცერთი სეზონი არ მიყვარს. ზაფხულში მზით ვიტენები“**





„ზაფხულში მეტი გართობა გინდა, ვიდრე სხვა სეზონზე. ნაკლები ტანსაცმელი გაცვია, უფრო თავისუფლად გრძნობ თავს, მზიანი ამინდებიც განწყობას გიმაღლებს“

**ნინო, საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. ალბათ ზაფხულს განსაკუთრებით ელოდებით, რომ დაისვენოთ...**

ნ.ე. ძალიან მიყვარს დასვენება, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია ათ დღეზე მეტხანს დასასვენებლად წასვლას ვერ ვახერხებ. წელს საქართველოში ვატარებ ზაფხულს. აგვისტოში ოჯახთან ერთად ავალ აგარაკზე, სადაც მოსკოვიდან ჩამოსულ ნათესავებსაც ვუმასპინძლებთ. სექტემბერში რამდენიმე მივლინება მიწევს და მცირე შვებულება, რომელსაც მაროკოში გავატარებ.

**შეიძლება ითქვას, რომ ზაფხულში ცოტა განტვირთვას მაინც ახერხებთ?**

ნ.ე. წელს სამწუხაროდ ხანგრძლივი შვებულება არ გამომდის – კომპანიას ვაფართოვებთ, ბევრი მიზანი გვაქვს დასახული და ამ ყველაფერს უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. ძირითადად, კვირაში ორი დღე მიწევს დასვენება, მაგრამ ისე

ფოტო: იაკა პირველი.



მიხარია ხოლმე ის ორი დღე, რომ მაქსიმალურ განტვირთვას ვახერხებ. ბაკურიანში ვიყავი წასული, თუმცა იქიდანაც ყოველდღე ტელეფონით ან სკაიპით მიწევდა თანამშრომლებთან და პარტნიორებთან კონტაქტი და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ტელეფონის გარეშე დასვენებას ვერ ვახერხებ.

**ახალ სამუშაო გეგმებს ზაფხულში ალაგებთ?**

**ნ.ე.** ზაფხულში მთელი წლის მიზნები მესახება – რას უნდა მივაღწიო და რა მაქვს გასაკეთებელი.

**კომფორტულად დასვენებისთვის რა გჭირდებათ?**

**ნ.ე.** ძალიან მიყვარს ზღვაზე დასვენება. ჩემთვის, კომფორტულად დასვენებისთვის, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებს, ვისთან ერთადაც ვისვენებ, შემდეგ – ლოკაციას და გარემოს.

**ბევრს ფიქრობთ, სად წახვიდეთ დასასვენებლად, თუ მარტივად იღებთ გადაწყვეტილებას? გამგზავრებისას ბევრი ჩემოდანი მიგაქვთ თუ მხოლოდ აუცილებელი ნივთები?**

**ნ.ე.** წინასწარ ვგეგმავ ყველაფერს. მინიმუმ ნახევარი წლის გეგმა წინასწარ მაქვს შედგენილი. ჩემოდნები ჩემი ყველაზე დიდი თავსატეხია – საჭირო ნივთების მენეჯმენტს ვერ ვაკეთებ, ყოველთვის ბევრი ტანსაცმელი მიმაქვს და ნახევარი უკან ჩაუცმელი ჩამომაქვს.

**როგორია თქვენი საყვარელი საზაფხულო Look-ი?**

**ნ.ე.** რაც შეიძლება მარტივი, თავისუფალი და კომფორტული, რომელსაც ბევრი ფიქრი არ სჭირდება. საზაფხულო სარაფანი, სანდლები და პლაჟის ჩალის ჩანთა. არანაირი აქსესუარები. ▶



# ქართველი დიზაინერი

# ქეთი ჩხიკვაძე

„ზღვა ძალიან მიყვარს, თუმცა წყნეთს მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჩემთვის. აქ ჩემი სახლია, მე ვარ მასპინძელი



„დასასვენებლად წასვლისას ვცდილობ თან მხოლოდ აუცილებელი ნივთები წავიღო. მოგზაურობისას ძალიან მიყვარს შოპინგი, თუმცა ბევრი შოპინგიც დამღლელია. ზომიერად, ყველაფერი სასამოვნოა“





„მოგზაურობისას ძალიან მიყვარს შოპინგი, თუმცა ბევრი შოპინგიც დამღლელია“

**ზაფხული განსაკუთრებული პერიოდია თქვენთვის?**

**ქ.ჩ.** სეზონი თანაბრად მიყვარს. რთულია გამოვყო კონკრეტული პერიოდი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გუნებაზე ვარ, სად ვარ, და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვისთან ერთად ვარ, თუმცა ზაფხული მაინც სხვანაირად მხიარულია ჩემთვის. აგვისტოში ძირითადად წყნეთში გვიწევს ხოლმე ყოფნა. თითქმის ყოველდღე მეგობრები, ნათესავები და ახლობლები მოდიან სტუმრად. შესაბამისად, ზაფხული კარგი საშუალებაა, რომ საყვარელი ადამიანები უფრო ხშირად ნახო, ვიდრე სხვა სეზონზე.

**როგორც მივხვდი, აქტიური დასვენება გიყვართ?**

**ქ.ჩ.** ზაფხულში მიყვარს მუსიკის მოსმენა და ხალხმრავლობა. რაც უნდა დაღლილი ვიყო, სტუმრები ჩემთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალება და ბედნიერების განცდაა.

**რა გჭირდებათ კომფორტულად დასასვენებლად?**

ტექსტი: ზურა მახარაშვილი. ფოტო: იკა პირველი.



**„ქვეცნობიერად მუდამ საქმეზე და სამსახურზე ვფიქრობ, თუმცა გარემოს გამოცვლა ძალიან დიდი განტვირთვაა, რადგან დასვენების ფონზე უფრო კარგად ლაგდება ის გეგმები, რომლებიც გასაკეთებელი მაქვს“**

ქ.ჩ. რა თქმა უნდა კარგ მოგზაურობას და კარგ სასტუმროს არაფერი სჯობს, თუმცა ვფიქრობ მთავარი მაინც კარგი გარემო და საყვარელი ადამიანებია. ეს მმატებს ხალისსაც და განტ-ვირთვასაც.

**წელს სად გეგმავთ დასასვენებლად წასვლას?**

ქ.ჩ. ჯერჯერობით მთელი ოჯახი წყნეთში ვართ. აგვისტოში ბათუმში, ზღვაზე დასასვენებლად წავალთ, ხოლო სექტემბერში აშშ-ში მინდა ოჯახთან ერთად წასვლა. ბავშვებსაც ძალიან უნდათ და თან ვიცი, რომ მომდევნო ერთი წელი უზომოდ დატვირთული მექნება, ამიტომ ყველანაირად უნდა შევეცადო და წავიდე ამერიკაში.

**დიდი ხანი გჭირდებათ არდადეგების დასაგეგმად?**

ქ.ჩ. ძალიან მიყვარს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება – შეიძლება ერთ დღეში გადავწყვიტო, უცებ ბარგი ჩავალაგო და დასასვენებლად წავიდე. თან, რაც უფროსი ბავშვები გაიზარდნენ, ხელს მიწყობენ, თუმცა უმცროსი მაინც პატარაა ჯერ და ყველა ერთად ვერ მივდივართ ხოლმე.

**საზაფხულო გარდერობიდან რომელია თქვენთვის აუცილებელი ნივთი, როდესაც დასასვენებლად ხართ?**

ქ.ჩ. ზაფხულში ფეხსაცმელი საერთოდ არ მჭირდება. ძალიან მიყვარს ღია საზაფხულო ფეხსაცმელი, ე.წ. ფლიპ-ფლოპები. მთელი სეზონი შემიძლია მეცვას ლამაზი საზაფხულო კაბა, ჩალის დიდი, საზაფხულო ქუდი და ფლიპ-ფლოპები. ფეხი რომ თავისუფლად მაქვს, ძალიან მსიამოვნებს.

**მალე გბეზრდებათ ერთ ადგილას ყოფნა და დასვენება?**

ქ.ჩ. ძალიან დიდხანს არ შემიძლია დასვენება. მბეზრდება და ტვინი იწყებს მუშაობას, რა უნდა გავაკეთო. რეალურად, როგორც ვატყობ, ჩემთვის მაინც საქმეში ჩართულობა პრიორიტეტია. ფიზიკურად, ტვინი მთხოვს დასვენებას, მაგრამ უსაქმურად ყოფნა ჩემთვის წარმოუდგენელია. H





# როუზი და ჯეისონი მშობლების ახალ როლებს ირგებენ

მსახიობსა და VICTORIA'S SECRET-ის ყოფილ მოდელს – **როუზი ჰანთინგტონ-უაითლის** უკვე საკუთარი პატარა „ანგელოზი" ჰყავს. მას და მსახიობ **ჯეისონ სტეტჰემს** პირველი შვილი ეყოლათ. 30 წლის როუზიმ ამის შესახებ სოციალური მედიის საიტზე გამოაცხადა და ახალდაბადებული ვაჟის ფოტო გამოაქვეყნა, სადაც ახალშობილს პატარა ხელით მისი თითი უჭი-რავს.

როუზი დაბადების დეტალებზეც წერს: **„*შაბათს, 24 ივნისს ქვეყანას ჩვენი პატარა ადამიანი მოევლინა! ჯეკ ოსკარ სტეტჰემი 4 კგ გაჩნდა*"**. ამავე წლის თებერვალში როუზიმ Instagram-ის მეშვეობით საზოგადოებას ამცნო, რომ ის და ჯეისონი პატარას ელოდებოდნენ. მოგვიანებით კი, VANITY FAIR-ის მიერ გამართულ „ოსკარის" წვეულებაზე როუზიმ ჯეისონთან ერთად „წითელ ხალიჩაზე" პატარა ღიპუცას დემონსტრირებაც კი განახორციელა.

ლოს-ანჯელესში მცხოვრებმა წყვილმა შეხვედრები 2010 წელს დაიწყო, გასული წლის იანვარში კი ისინი დაინიშნენ. ფილმ **MAD MAX: FURY ROAD**-ის მსახიობი როუზი მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ჟურნალთან საუბრისას აღნიშნავს: **„*ჩვენ ნამდვილი გუნდი ვართ. ვგრძნობ, რომ ძალიან გამიმართლა*"**. როუზიმ ისიც დაამატა, რომ გუნდში ახალი მოთამაშის გაჩენა დროის ამბავი იყო. **„*მოუთმენლად ველი ბევრ რამეს ჩემ ცხოვრებაში, რაც ქალს უკავშირდება: შვილების გაჩენას, დედობას, ყველაფერ ამას*"**, – დასძინა მან.

ფოტო: KATHRYN WILSON. ფოტო: INSTAGRAM, GETTY IMAGES.



**30 წლის როუზიმ შვილის მოვლინების შესახებ სოციალურ ქსელში გამოაცხადა და ახალდაბადებული ვაჟის ფოტო გამოაქვეყნა, სადაც ახალშობილს პატარა ხელით მისი თითი უჭირავს.**

# შეიძინეთ ბრენდ NUXE პრემიუმ კლასის მზისგან დამცავი და რუჯის შემდგომი საშუალებები

## 20% -დან 50% -მდე

ფასდაკლებით და მიიღეთ საჩუქრები




მიიღე მზისგან მხოლოდ საუკეთესო

## საშინაო მუსიკალური ორკესტრი

# დათო და ლიკა ევგენიძეები

## ერთი დიდი მეგობრული ოჯახი

ბენდენიანი „მეკობრე“, კლასიკოსი, კლასიკური გაგებით. მისი სახელი და გვარი ყველა იმ ნიშნის სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, რომლებიც ამ ადამიანის ფორტეპიანოდან მოდის. „დათო ევგენიძე“ – ექვსი ხმოვანი და ექვსი თანხმოვანი, რომლებიც როიალის ოქტავას, თორმეტ ნოტს ჰგავს. მუსიკასთან ერთად ცხოვრება პატარა ასაკიდან დაიწყო. მისი განსაკუთრებული მონაცემები ბებიამ შენიშნა და მუსიკაზე მიიყვანა, შემდეგ სწავლა ათწლედში განაგრძო. სცენაზე პირველად ექვის წლის ასაკში გავიდა, ცამეტი წლისამ კი პირველი საავტორო კონცერტი გააკეთა და მას შემდეგ ნოტები მისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად გადაიქცა. ხელოვნება მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი და ღმერთთან სასაუბრო ენაა, მთავარი მამოძრავებელი ძალა კი სიყვარული და მისი ოჯახია.

**რამდენი წლის იყავით, როცა პირველი შვილი შეგეძინათ და მამა გახდით?**

**დათო:** პირველი შვილი ოცდასამი წლის ასაკში შემეძინა, თუმცა მაშინ ჯერ ოჯახი არ მქონდა შექმნილი. საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი და ვერც ვაცნობიერებდი, რამხელა პასუხისმგებლობა დამეკისრა. შემდეგ ისე მოხდა, რომ ანჟელიკა და დედამისი საფრანგეთში წავიდნენ საცხოვრებლად და რაღაცნაირად დავცილდით ერთმანეთს.

**როდის დაოჯახდით და ოჯახი როდის შექმენით?**

**დათო:** ოცდაშვიდი წლის ასაკში პირველად დავოჯახდი, სადაც ლიკა და ლუკა გაჩნდნენ. იმ პერიოდში ძალიან ხშრად ვმოგზაურობდი – ხან საფრანგეთში ვიყავი, ასევე საბერძნეთში, კანარის კუნძულებზე, ხან კი მოსკოვში. საბოლოოდ, 16 წლის მანძილზე 10 წელი საზღვარგარეთ გავატარეთ, ამიტომ იმ დროს კარგად ვერ ვხვდებოდი, რა იყო ოჯახი და სახლი. რასაც ჰქვია „სახლური“ ცხოვრება და ოჯახური ბედნიერება, სწორედ ახლა, ამ ასაკში, ნინოსთან ერთად მაქვს.

**დღეს რას ნიშნავს დათო ევგენიძისთვის ოჯახური კერა?**

**დათო:** ჩემთვის ოჯახი არის პირველი სარკმელი, საიდანაც შემოვედი ამ სამყაროში და ვეზიარე სიცოცხლის არსს. ოჯახის ინსტიტუტი ყველაზე ძვირფასი და მთავარი რამეა. შვილზე უფრო დიდ ბედნიერებას ვერც შექმნი და ვერც ვერაფერი მოგანიჭებს. რაც უნდა საოცარი ნაწარმოები შემქნა, ისეთი სრულყოფილი, როგორიც ადამიანია, ვერასოდეს იქნება. ჩვენ ღმერთის ჩრდილები ვართ და რასაც ჩვენ ვქმნით, ის ჩრდილების ჩრდილებია.

**დიდი ასაკობრივი სხვაობაა შვილებს შორის. რთულია მათთან საერთო ენის გამონახვა?**

**დათო:** პატარა „სანტა ბარბარა“ მაქვს ოჯახში. ასაკის სხვაობის მიუხედავად, ►



„ნიკოლოზის დაბადებას დათო არ შეუცვლია, უბრალოდ ახალი პასუხისმგებლობა და სიხარული შეემატა. ნიკოლოზი უკვე 11 წლისაა, შვილიშვილებიც თითქმის ამ ასაკის ჰყავს, ამიტომ ვერ აცნობიერებს, რომ უკვე ბაბუაა“ — ნინო



„პატარა საქართველო მაქვს შინ. ოთხი შვილი მყავს და ექვსი შვილიშვილი –  ესაა ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც მაქვს. ეს არის ძალა, რომელიც მამოძრავებს. თითოეულის ცხოვრებით ვცხოვრობ და თითოეულის განსაცდელს განვიცდი“

კარგად ურთიერთობენ ერთმანეთთან და-ძმები. მამობის შეგრძნება ნიკოლოზზე ყველაზე მეტად ვიგრძენი, რადგან როცა ანჟელიკა, ლიკა და ლუკა დაიბადნენ, მე იმდენად ახალგაზრდა ვიყავი, ვერ ვაცნობიერებდი და ვერ ვხვდებოდი, ეს რა გრძნობა იყო. ნიკოლოზი და ლიკას შვილები თითქმის ტოლები არიან, ამიტომ შვილიშვილებთანაც უფრო მამის პოზიცია მაქვს, ვიდრე ბაბუასი.

**ლიკა:** ჩემს უფროს ძმას – ლუკას და ჩემს შორის სხვაობა წელიწადნახევარია, ამიტომ ტყუპებივით გავიზარდეთ, სამეგობროც ერთი გვყავდა. ის ურთიერთობა სხვა იყო, პატარა და-ძმებთან კი სხვა დამოკიდებულება მაქვს. სხვანაირი გრძნობაა. თითქმის ჩემი შვილების ტოლები არიან, ამიტომ მათზე ვზრუნავ და როგორც მშობელს, ისეთი მიდგომა მაქვს. ერთი დიდი, მეგობრული ოჯახი ვართ, რაც უზომოდ მომწონს.

## მკაცრი მამა ხართ?

**დათო:** მეგობრული ვარ ყველასთან, თუმცა არის რაღაც ქმედებები, რომლებიც ჩემთვის მიუღებელია. ამ შემთხვევაში მკაცრი ვარ. სრულ თავისუფლებას ვაძლევ შვილებს, ხანგრძლივი დასჯაც არ ვიცი. უბრალოდ, ძალიან ემოციური ვარ, რადგან თვრამეტი წლის ასაკში ჩემს დასთან დაკავშირებით უცაბედად გაგებული ტრაგედიის სტრესი მაქვს გადატანილი და მას შემდეგ ეს შიში მუდამ დამყვება. ზოგჯერ ძალიან დამღლელიც ვარ – დღეში შვიდჯერ შეიძლება დავურეკო თითოეულს, მინდა ვიცოდე მათი ყველა ნაბიჯი. სრულყოფილი ადამიანები არიან, თუმცა მაინც გამუდმებით განვიცდი. ▶



„მას შემდეგ, რაც ოჯახი მაქვს, მე არ ვმოქმედებ მხოლოდ ჩემ გამო - მე ვმოქმედებ ყველა ამ ადამიანის პასუხისმგებლობით. ვფიქრობ რა დახვდება წინ ნინოს, ლიკას, ლუკას, ნიკოლოზს. ნელ-ნელა ვბევრდები, კი არ ვბერდები“- დათო



„დათო ჩემთვის უფრო მეგობარია, ვიდრე მამა“

„ადრეული ასაკიდან ვიღებ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. თავისუფალი ადამიანი ვარ, თუმცა დათოს არასოდეს არაფერს ვუმალავ“

„ყველა ახალი კომპოზიციის პირველი შემფასებლები ძირითადად ჩვენ – ოჯახის წევრები ვართ. ღამე მუშაობა უყვარს და მახსოვს, სტუდენტობისას ღამის სამ-ოთხ საათზე მაღვიძებდა ხოლმე – მოდი, მოუსმინეო, მე კი ერთი სული მქონდა დამეძინა – მეორე დღეს ინსტიტუტში ვიყავი წასასვლელი“ — ლიკა

## „როცა აშშ-ში ვცხოვრობდი, დათო მუდამ ცდილობდა ხშირი კონტაქტი გვქონოდა, თუმცა თბილისში როცა ვარ, აქ უფრო ნერვიულობს და აქ მეტად მაკონტროლებს. ცდილობს დღეში რამდენჯერმე დამირეკოს და მომიკითხოს“



**„დათო მკაცრი არაა, უფრო პანიკაა. ყველაფერზე ნერვიულობს და იმისთვის, რომ მშვიდად იყოს, დღეში ცხრაჯერ უნდა დაგირეკოს“ — ლიკა**

**ლიკა:** დათო მკაცრი არაა, უფრო პანიკაა. ყველაფერზე ნერვიულობს და იმისთვის, რომ მშვიდად იყოს, დღეში ცხრაჯერ უნდა დაგირეკოს. ყველაფერი აინტერესებს, ბოლოს ვეჩხუბები ხოლმე – მამა, გავიზარდე უკვე და თავი დამანებე-მეთქი.

**შვილები ხასიათით გგვანან?**

**დათო:** კი, მგვანან, თუმცა ყველას საკუთარი ხასიათი აქვს. მეამბოხეები არიან და თავისი „მე“ აქვს სულყველას.

**შემოქმედებაშიც ოჯახს ალბათ ძალიან დიდი როლი მიუძღვის?**

**დათო:** ჩემთვის ნინო მთავარი მუზაა. ვცდილობ ყოველ დილით ახალი ლექსი მივუძღვნა. არ მჯერა წლების მატებასთან ერთად ურთიერთობის გაცვეთისა და დასრულების, პირიქით – შენ არ უნდა გაზარმაცდე ურთიერთობაში, არ უნდა მისცე შანსი დროს, რომ შეგჭამოს. პირიქით – შენ უნდა შეჭამო და დაამარცხო.

**ლიკა:** ყველა ახალი კომპოზიციის პირველი შემფასებლები ძირითადად ჩვენ – ოჯახის წევრები ვართ. ღამე მუშაობა უყვარს და მახსოვს, სტუდენტობისას ღამის სამ-ოთხ საათზე მაღვიძებდა ხოლმე – მოდი, მოუსმინეო, მე კი ერთი სული მქონდა დამეძინა – მეორე დღეს ინსტიტუტში ვიყავი წასასვლელი.

**რთულია დათო ევგენიძის მეუღლეობა?**

**ნინო:** თავიდან ცოტა რთული იყო მის ცხოვრების რიტმს შეგუება და აყოლა. ახლა თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ არ არის რთული. პირიქით – დიდი ბედნიერებაა დათოსნაირი ხელოვანის გვერდით ცხოვრება. ძალიან კეთილი, მართალი და ერთგული ადამიანია, ბევრს რამეს ვსწავლობ მისგან. მეც ჩართული ვარ დათოს ხელოვნებაში და ყოველდღე რაღაც ახლის და საინტერესოს აღმოჩენის პროცესში ვარ.

**გაქვთ რომელიღაც ოჯახური ტრადიცია?**

**ნინო:** ძალიან დიდი ოჯახი ვართ, ყველას თავის ცხოვრება აქვს. აქედან გამომდინარე, ხშირად ვერ ვახერხებთ შეკრებას. ძირითადად დღესასწაულებზე ვართ ხოლმე ერთად, ამ დროს კი ერთმანეთს დაგროვილ ახალ ამბებს ვუცვლით. ყველა გახარებული ვართ, ძალიან ვმხიარულობთ და ერთი დიდი ბედნიერება გვაქვს ხოლმე.

**თქვენი ოჯახი მუსიკალურ პარტიტურებს ხომ არ წააგავს?**

**დათო:** ნოტებად რომ ჩამოვთვალო, ოქტავაზე მეტნი არიან. თან რომ ვთქვა არ მანერვიულებენ-მეთქი, მოვიტყუები. ოჯახი ჩემთვის ყოველთვის იყო პრიორიტეტი. მიუხედავად ჩემზე და ჩემი ცხოვრების წესზე ბოჰემური წარმოდგენისა, აბსოლუტურად ოჯახის ადამიანი ვარ. ოჯახი პირველია, და სხვა მერე ყველაფერი. H

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: ირაკლი პირველი
**სტილი:** თეონა ელიზბარაშვილი
**ლოკაცია:** IOTA HOTEL TBILISI


RED-CO
REAL ESTATE DEVELOPMENT
ახალი გუდაური
თანამედროვე ცხოვრების სტილი მთაში
ზაფხულის ფასები აპარტამენტებზე - 1მ² მხოლოდ 1900 ₾-დან
რატომ ახალი გუდაური?
დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს გახსნა;
ხელმისაწვდომი ფასები და უძრავი ქონების მაღალი ლიკვიდურობა;
ტურისტების რაოდენობა იზრდება ყოველ წელს;
უცხოელი ინვესტორების დიდი დაინტერესება;
გასაქირავებელ აპარტამენტებზე მაღალი მოთხოვნა;
დანახარჯების ამოღება მაქსიმუმ 4 წელიწადში.
ჩვენ გთავაზობთ
თქვენი ქონების მართვას და სტაბილურ შემოსავალს გაქირავებიდან;
შიდა უპროცენტო განვადებას;
შეღავათებს იპოთეკურ სესხზე.
თ. აბულაძის ქუჩა 1, თბილისი; +995 577 220 220 / 577 230 230; info@redco.ge; www.redco.ge; facebook.com/REDCO.GEO



# ქალთა სოლიდარობის მარში

## უთანასწორობის, ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ




„ბაუპატიურება დანაშაულია!“, Future Is Female! „ერთად დავძლიოთ უთანასწორობა!“ – სწორედ ასეთი ლოზუნგებით გაივსო აღმაშენებლის გამზირი მაშინ, როცა – როგორც ერთ-ერთ წარწერაზე ვკითხულობდით – „ქალები რეალური პრობლემის პირისპირ“ აღმოჩნდნენ. 19 ივლისს გამართული მარშის მონაწილეების მოთხოვნები მარტივი და გასაგები იყო – მიღებულიყო კანონი სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ, დასჯილიყვნენ ისინი, ვინც თათია დოლიძის მისამართით შეურაცხმყოფელ და მუქარით სავსე კომენტარებს წერდნენ, სახელმწიფო უწყებები ღიად გამიჯვნოდნენ ძალადობას, და მედიასაშუალებებს აღარ მიეწვიათ ის რესპონდენტები, რომლებიც სიძულვილის ენის ტირაჟირებას ახდენდნენ...

ყველაფერი კი ორი პარალელურად გამართული საპროტესტო აქციით დაიწყო. პირველი მათგანი ბერშუეთში საქართველოს საზღვრების ოკუპაციას აპროტესტებდა, მეორე კი ქვეყანაში მცხოვრები არაქართველების ქვეყნიდან გაძევებას მოითხოვდა. სიტუაცია მაშინ გამწვავდა, როდესაც **თათია დოლიძემ** – გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ყოფილმა წარმომადგენელმა, საკუთარი აზრი გამოთქვა „ქართველთა მარშის“ შესახებ და სოციალურ ქსელშიც აღნიშნა, რომ მსგავსი „ულტრამემარჯვენე, ქსენოფობიური გამოსვლები“ ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე ნამდვილად არ წაგვადგებოდა: ***„ჩვენ გვაქვს პრეტენზია ტოლერანტულობაზე და გვსურს ოსი და აფხაზი ხალხის შემორიგება. რისი დემონსტრირებაა ეს აქცია?.. ნამდვილი მტერი ამ დროს 700 მეტრით სწევს საზღვარს. პატრიოტი ახალგაზრდები მივდივართ სოფელ ბერშუეთში შეცდომაში შეყვანილი ქართველების მარშის პარალელურად***“. სწორედ ამ შეფასებამ

ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: თინა ლევნიაშვილი, EURUS.GE.





## „ჩვენ ვგმობთ ყველა სახის ძალადობას, და ამ შემთხვევაში, ისეთ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ...“

გამოიწვია სექსუალური და შეურაცხმყოფელი ხასიათის სხვადასხვა მუქარა, რომელიც „ქართველთა მარშის“ რამდენიმე წევრმა Facebook-ის საშუალებით გამოაქვეყნა, და რომლის წინააღმდეგაც „ქალთა სოლიდარობის მარშის“ მონაწილეები გაერთიანდნენ.

აღმაშენებლის გამზირზე ქალთა უფლებებს მამაკაცებიც იცავდნენ. მომღერალ შოთა ადამაშვილის თქმით, ქალების მიმართ ნებისმიერი სახით გამოხატული აგდებული დამოკიდებულება დანაშაულის წინაპირობაა: ***„ამიტომ არის ამდენი მოკლული ქალი და ამდენი ძალადობა ოჯახში. თუ საზოგადოება, განსაკუთრებით კი – მამაკაცები, ქალების ირგვლივ არ გავერთიანდებით, ძალადობა კვლავ გაგრძელდება***“.

აქციაზე იყვნენ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებიც მარშის მონაწილეთა პათოსს იზიარებდნენ და ამბობდნენ, რომ ქვეყანაში ისედაც გახშირებული ფემიციდის ფონზე, ქალთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ვერბალურ თუ ფიზიკურ ძალადობაზე შესაბამისი რეაგირება იყო საჭირო. „ქალთა მოძრაობა“ მიიჩნევდა, რომ „ქართველთა მარშის“ კონკრეტული მონაწილეები „ქართველობას“ რასიზმთან, სიძულვილთან, ძალადობასა და ქალთმოძულეობასთან აიგივებდნენ, რასაც ყველა კეთილსინდისიერი მოქალაქე უნდა შეწინააღმდეგებოდა. საჯარო პირები მხარდაჭერას გამოხატავდნენ სოციალურ ქსელებშიც. თამარ ჩუგოშვილმა – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ხაზი გაუსვა საჯარო სივრცეში მეტი აქტიური ქალის არსებობის მნიშვნელობას. **კახა კალაძემ** კი „ქართველთა მარშის“ მთავარი გმირები გააკრიტიკა და აღნიშნა: ***„წარმოუდგენელია აცხადებდე, რომ იცავ ყველაფერ იმას, რაც ღირებულია ჩვენი ქვეყნისთვის – სტუმართმოყვარეობა, ტოლერანტობა, ქალისადმი პატივისცემა და ვაჟკაცობა – რეალურად კი, საქციელით, ამ ყველაფერს ზურგით უდგებოდე. საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა ვერასოდეს განვითარდება ასეთი სტილის ოპონირების პირობებში***“. საგანგებო განცხადება გააკეთა სახალხო დამცველის აპარატმაც: ***„სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოთქვამს აშკარა მიზოგინიური და სიძულვილის ენის გამოყენების გამო, რაც კიდევ უფრო ამყარებს გენდერული თანასწორობის მხრივ ქვეყანაში არსებულ რთულ მდგომარეობას***“.

მიმდინარე მოვლენებსა და ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს გამოეხმაურა **ნილს სკოტიც** – გაეროს ელჩი საქართველოში, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება ყველაფერს დაადგენს და საჭირო ზომები დროულად გატარდება: ***„ჩვენ ვგმობთ ყველა სახის ძალადობას, და ამ შემთხვევაში, ისეთ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ... დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მოქალაქეს უნდა შეეძლოს ადამიანის უფლებების, ანტიდისკრიმინაციისა და ტოლერანტობის ღია მხარდაჭერა ძალადობის, შეურაცხყოფისა და მუქარის შიშის გარეშე***“.

საბოლოო ჯამში, „ქალთა სოლიდარობის მარშის“ ყველა მონაწილე, ერთმა მთავარმა იდეამ – სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლამ გააერთიანა. „საქართველო არ არის მოძალადეების ქვეყანა. საქართველო თავისუფლებაა და არა სიძულვილი“, – ისმოდა აღმაშენებლის გამზირზე შეკრებილ დემონსტრანტთა შეძახილები. ისინი ამბობდნენ, რომ მომხდარი ფაქტი არ ეხებოდა ერთ კონკრეტულ ადამიანს და ეს იყო არა მხოლოდ **თათია დოლიძი**ს, არამედ ყველა ქართველი მოაზროვნე ქალის შეურაცხყოფა.

თავად თათიამ კი, რომელიც, რასაკვირველია, დემონსტრაციის ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო, „ქალთა სოლიდარობის მარში“ რამდენიმე წინადადებით, და როგორც ყოველთვის, ამომწურავად შეაჯამა: ***„ეს არის მენტალიტეტების ბრძოლა! ეს არის განათლებული ახალგაზრდების ბრძოლა ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად ჯანსაღი საქართველოსთვის***“...

P.S.: **თათია დოლიძის** მიმართ სოციალური ქსელით გავრცელებული სავარაუდო მუქარის ფაქტზე, შსს-ის მიერ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლითაა დაწყებული.

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**გიორგი კვირიკაშვილი** აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილეს – დენ მულენს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა აშშ-ისა და საქართველოს შორის სავაჭრო და საინვესტიციო სფეროში ურთიერთობების გამყარება და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები იყო. საქართველოს პრემიერმინისტრმა შეხვედრისას ხაზი გაუსვა რეფორმების 4-პუნქტიან გეგმას, კერძოდ კი საგადასახადო სისტემას, საპენსიო ფონდის საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარების რეფორმებს, ასევე – დამწყები და მცირე-საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს.



**ზაზა ფაჩულია** ქვეყნის სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა და საქართველოს საზღვრებს გარეთ პოპულარიზაციისთვის, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. კალათბურთელს ამ გადაწყვეტილების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა – გიორგი აბაშიშვილმა ტელეფონით შეატყობინა, NBA-ის ჩემპიონობა მიულოცა და პრეზიდენტის სახელით შემდგომი წარმატებები უსურვა.




**GEM FEST** 2017 14 ივლისს ანაკლიაში გაიხსნა. ფესტივალი 1 თვის განმავლობაში ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებს 500-ზე მეტი ცნობილი მუსიკოსი. ფესტივალი დანიელმა არტისტმა ფერი კორშტენმა და ეგვიპტურმა დუეტმა – „ალი ენდ ფილმა“ გახსნეს. ორგანიზატორების განცხადებით, უკვე გაყიდულია 40 ათასზე მეტი ბილეთი, საიდანაც 60 პროცენტი ტურისტების მიერ არის შეძენილი. მნიშვნელოვანია, რომ „ჯემ ფესტის“ ფარგლებში დასაქმებულია 2800-ზე მეტი ადამიანი.



**გიორგი მარგველაშვილი** საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოწვეულ თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რაშიდ მერედოვს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტმა და თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. პრეზიდენტის სასახლეში ოფიციალურ შეხვედრას ესწრებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, საერთაშორისო მდივანი თენგიზ ფხალაძე და პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე.





**ქეთი მელუამ** 23 ივლისს გორის ქალთა კაპელასთან ერთად, Chek in Georgia -ს ფარგლებში, black sea arena-ს სცენაზე კონცერტი გამართა. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა – გიორგი ჩოგოვაძემ აღნიშნა, გარდა ამ გრანდიოზული კონცერტისა, მომდევნო თვეებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაგეგმილი. მისივე თქმით, მთავარი ღირებულება, რომელიც ამ პროექტს მოაქვს, არის ის, რომ ქვეყნის იმიჯი იზრდება.



**გიორგი გახარია** ყარსში თურქეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს შეხვდა. საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა აჰმეთ არსლანთან ერთად, ყარსიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე, ახალ სარკინიგზო მონაკვეთზე, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტისთვის აშენდა, პირველი მატარებლით იმგზავრა. მგზავრობისას მხარეებმა გაფართოებული შეხვედრა გამართეს. ეს ისტორიული მნიშვნელობის პროექტი აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის დაიწყო, ხოლო მისი რეგიონული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაემატა ყაზახეთი და თურქმენეთი.

**ფოტო:** სალომე ბაღიაშვილი



# ROGER FEDERER

## უიმბლდონის „დიდი სლემის“ ჩემპიონია

**Roger Federer – 35 წლის შვეიცარიელი ჩოგბურთელი, უიმბლდონის „დიდი სლემის“ მეცხრამეტე ტურნირზე მერვედ გახდა ჩემპიონი. მან პიტ სამპრასისა და უილიამ რენშოუს შედეგი (მათ 7-7-ჯერ ჰქონდათ ტურნირი მოგებული) გააუმჯობესა. ფედერერს მარინ ჩილიჩი უპირისპირდებოდა. იგი ტრავმირებული თამაშობდა უიმბლდონის ფინალში, რამაც შვეიცარიელ გამოცდილ ჩოგბურთელს შედარებით გაუმარტივა საქმე. შეხვედრა სულ საათსა და 43 წუთს გაგრძელდა. ამის მიუხედავად, ფედერერი მაინც აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა. შვეიცარიელს მთელი ტურნირის განმავლობაში ერთი სეტიც კი არ წაუგია. ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა კარიერაში უკვე მერვე უიმბლდონი მოიგო, რაც ყველა დროის რეკორდია. ჯამში, ფედერერს უკვე 19 დიდი სლემის ტიტული აქვს მოგებული.**





**ზურაბ ალავიძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ERBD-ის მმართველს შეხვდა. შეხვედრის მიზანი საქართველოს მასშტაბით მიმდინარე მოვლენების განხილვა იყო. შეხვედრაზე ასევე ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით, ბანკის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. საფინანსო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ შემდგომში თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.



**ვახტანგ მახარობლიშვილი** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვია. გერმანიის ფედერალური კანცლერის სამსახურისა და საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს წარმომადგენლებთან, ვახტანგ მახარობლიშვილმა გერმანია-საქართველოს შორის ორმხრივ ურთიერთობებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. ასევე მათ განიხილეს ქვეყანაში გატარებული დემოკრატიული რეფორმები და ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემატიკა.



**პეტრო პოროშენკო** და გიორგი კვირიკაშვილი ერთმანეთს საქმიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ. მათ ისაუბრეს საქართველო-უკრაინას შორის სტრატეგიული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და საერთო ინტერესებზე. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობას, საქართველოსა და უკრაინის ევროპული ინტეგრაციის პროცესსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. მხარეებმა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ორი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.



**დიმიტრი ქუმსიშვილმა** და ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცეპრეზიდენტმა ვაზილ ჰუდაკმა ხელი მოაწერეს ფინანსურ კონტრაქტს, რომლის თანახმად ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის ფარგლებში 250 მლნ ევროს დაფინანსებას გამოყოფს. სამინისტროს ინფორმაციით, გამოყოფილი თანხა დაახლოებით 253 კმ-ის ძირითადი და მეორადი გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციას მოხმარდება.



## ინტერნეტსენსაციადქცეული საქორწილო კაბა

# ვიქტორია სვაროვსკი

## ცნობილი იუველირის შვილის ექსტრავაგანტური და მდიდრული ქორწილი

ცნობილმა ავსტრიელმა მომღერალმა და კიდევ უფრო ცნობილი იუველირის შვილმა – ვიქტორია სვაროვსკიმ, და უძრავი ქონების ინვესტორმა – 40 წლის ვერნერ მურსმა ქალაქ სან-გუსტოს ტაძარში ჯვარი დაიწერეს. „ჩემი ოცნების ქორწილი მქონდა“, – განუცხადა ჟურნალ HELLO!-ს ექსკლუზიურ ინტერვიუში ვიქტორია სვაროვსკიმ, – თუმცა არ ველოდი, ამხელა ინტერესი თუ მოჰყვებოდა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ დღეს“.

გასაკვირი არც არის, რომ ვიქტორიას ქორწილი უმდიდრესი და მართლაც ბრწყინვალე იყო – მისი კაბა, რომელიც მილიონ დოლარად შეფასდა, სვაროვსკის 500 000 კაშკაშა კრისტალით იყო შემკული და 46 კილოს იწონიდა, რაც შეეხება შლეიფის სიგრძეს, თითქმის 8 მეტრი იყო. ავსტრიელი მომღერლისა და უძრავი ქონების ინვესტორის ქორწილი ნამდვილ სენსაციად იქცა.

„კაბა MICHAEL CINCO-მ შექმნა, მე მხოლოდ კრისტალები გადავეცი“, – ამბობს ვიქტორია, – მინდოდა, კაბა სადა, მაგრამ ამავე დროს გრანდიოზული ყოფილიყო. მაიკლმა ეს შეძლო! კაბის ზედა ნაწილი ძალიან მარტივი და სადაა, ხოლო ქვედა – მართლაც დიდებული. ▶



## ვიქტორიამ და 40 წლის ბიზნესმენმა – ვერნერმა 6 წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი

ქორწილი იტალიის ქალაქ ტრიესტრთან ახლოს, კურორტ Portopiccolo-ზე გაიმართა (ქვევით). მოსაწვევები ქორწილის შესაბამისად მდიდრული და ძალიან ელეგანტური იყო (მარჯვნივ).



23 წლის პატარძალი აღტაცებით შეჰყურებს თავის თვალისმომჭრელ კაბას, რომელიც მთლიანობაში 46 კგ-ს იწონის. ვიქტორიამ ლეგენდარულ კაბას Jimmy Choo-ს კრისტალებით გაფორმებული ფეხსაცმელები შეუხამა (ქვევით).



თუმცა, იმის გამო, რომ ძალიან ცხელოდა და კაბა უმძიმესი იყო, ცოტა მიჭირდა სიარული“, – სიცილით იხსენებს ვიქტორია. დიზაინერს მხოლოდ 3 თვე ჰქონდა იმისთვის, რომ კაბა შეეკერა. „ეს სიგიჟეა, – მიპასუხა მაიკლმა, როცა ვუთხარი, რომ 3 თვეში კაბა მზად უნდა ყოფილიყო. მაგრამ მან ეს შეძლო“.

ვიქტორიას 7 მეჯვარეს ავსტრიელი დიზაინერის EVA POLESCHINSKI-ის ლურჯი კაბები ეცვათ. წყვილმა ქორწილის აღნიშვნა წინა დღეს, ექსკლუზიურ კურორტ PORTOPICCOLO-ს სასტუმრო FALISIA-ში, PASTA E AMORE-ს ვახშმით დაიწყო. ამ დღეს მანდილოსნებისთვის DRESS-CODE წითელი იყო, ხოლო მამაკაცებისთვის – თეთრი. „მამაჩემმა აღშფოთებულმა მკითხა: რა საჭიროა, ვიქტორია, ეს თემატური სამოსი? ახლა თეთრი ტანსაცმლისთვის მომიწევს საყიდლებზე სიარული, – იცინის ვიქტორია, – ინტერიერი წითელსა და ოქროსფერში იყო გადაწყვეტილი. განსაკუთრებულად რომანტიკულ გარემოს 70 000 ყვავილი ქმნიდა“. ქორწილის სამივე დღეს მუსიკალურად ▶




ვიქტორია წინასაქორწინო წვეულებაზე Michale Cinco-ს მიერ შეკერილ წითელ კაბაში (მარცხნივ). 13-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი ვერნერმა გერმანელ იუველირს დაამზადებინა, ხოლო ვიქტორიამ საქმროსთვის სადა პლატინის ბეჭედი შეუკვეთა, რომელზეც ამოტვიფრულია მისი სახელი და ქორწინების თარიღი (მარჯვნივ).





პატარძალი დედასთან ერთად. ალექსანდრამ შვილის საპატარძლო კაბა ავსტრიაში გადააგზავნინა, რათა იქ უსაფრთხოდ შეენახათ.



„კაბა Michael Cinco-მ შექმნა, მე მხოლოდ კრისტალები გადავეცი“, – ამბობს ვიქტორია, – მინდოდა, კაბა სადა, მაგრამ ამავე დროს გრანდიოზული ყოფილიყო. მაიკლმა ეს შეძლო!“



აფორმებდა ჯგუფი THE GYPSY QUEENS. „ქორწილის წინ თითქოს არ ვნერვიულობდი, მაგრამ როცა ტაძრის კარი გაიღო და ჩემი საქმრო დავინახე, ძალიან ავფორიაქდი და ავტირდი. შემდეგ მთელი ცერემონიალის განმავლობაში ვტიროდი. ეს ძალიან ემოციური დღე იყო“.

ვიქტორიას საქმრო – ვერნერი, გერმანელ იუველირებთან ერთად მუშაობდა, რათა საცოლისთვის 13-კარატიანი 13 ბრილიანტით მოოჭვილი ნიშნობის ბეჭედი შეექმნა. ვიქტორიამ კი საქმროს პლატინის სადა ბეჭედი დაუმზადა, რომელზეც მისი სახელი – „ვიქტორია“, და ქორწინების თარიღი იყო ამოტვიფრული.

## კრისტალური საოცრება

მთავარ წვეულებას, რომელიც პორტოპიკოლოში, MAXI-ს რესტორანში გაიმართა, „კრისტალური ღამე“ ერქვა. „მაგიდები ჯუჯა ხეებით, თეთრი ყვავილებითა და კრისტალებით გახლდათ გაფორმებული. საოცარი სანახაობა იყო ზღვის ხედით“, – ყვება ვიქტორია.

პირველი ცეკვა პატარძალმა მამასთან ერთად, NAT KING COLE-ის ცნობილ სიმღერაზე L-O-V-E შეასრულა. ვიქტორია 16 წლის იყო, როცა პირველი კონტრაქტი გააფორმა ხმის ჩამწერ სტუდიასთან SONY MUSIC და გაიმარჯვა კონკურსში LETS DANCE, რომელიც „ცეკვავენ ვარსკვლავების” გერმანული ვერსიაა. „მამა ნერვიულობდა ჩვენი ცეკვის გამო. იცოდა, რომ სტუმრებს შორის ჩემი მეგობრებიც იქნებოდნენ შოუდან. მას სურდა, განსაკუთრებული ყოფილიყო ჩვენი ცეკვა, მაგრამ ჩემი მძიმე კაბის გამო მხოლოდ მარტივი მოძრაობების საშუალება გვქონდა“, – იხსენებს ვიქტორია. მეორე ცეკვა ვიქტორიამ და ვერნერმა WHITNEY HOUSTON-ის ცნობილ ჰიტზე – I WILL ALWAYS LOVE YOU შეასრულეს.

ვიქტორიამ და 40 წლის ბიზნესმენმა – ვერნერმა 6 წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი. „ჩვენი ოჯახები მეგობრობდნენ. ერთმანეთი კი ვერნერის მამამ გაგვაცნო. ▶



500 000 კრისტალით მოოჭვილი კაბისა და
46 კილოიანი შლეიფის ავტორი MICHAEL CINCO-ა,
კაბა მილიონ დოლარად შეფასდა



მალევე ჩვენ შორის დიდი სიყვარული გაჩნდა“.

ქორწილის შემდგომი PARTY-სთვის ვიქტორიამ სამოსი გამოიცვალა და ამჯერად IRINA VITIAZ-ის სირინოზის სტილის კაბა ჩაიცვა.

„ვამაყობ ჩემი ოჯახით. მამა და ბებია ოჯახურ ბიზნესს უძღვებიან, მე შოუბიზნესში ვარ, თუმცა არასოდეს თქვა არასოდეს... არავინ იცის – 10 წლის შემდეგ შესაძლოა მეც მოვკიდო ხელი საგვარეულო საქმეს“, – ამბობს ვიქტორია. ნეფე-პატარძალმა გაჭრეს უზარმაზარი, 5-სართულიანი ტორტი, რომელიც სპეციალურად ავსტრიიდან ჩამოიტანეს იმ დროს, როცა სტუმრები ფეიერვერკის ცქერით ტკბებოდნენ. დღესასწაული დილის 8 საათამდე გაგრძელდა. მეორე დღეს, სტუმრებს ნაბახუსევზე პირდაპირ პლაჟზე მიართვეს ჰამბურგერები და ფრი. წყვილმა ჯერ მცირე თაფლობისთვე მოიწყო, რომელიც ST. TROPES-ზე გაატარეს. დიდ თაფლობისთვეს კი წელსვე გეგმავენ. ლეგენდარული კაბა ვიქტორიას დედამ უკან – ავსტრიაში დააბრუნა. აქ მას, როგორც ხელოვნების ნიმუშს, შეინახავენ. „ძალიან ბედნიერი ვარ. ჩვენი ქორწილი მართლაც საოცარი გამოვიდა“, – დასძინა ვიქტორიამ. **H**



მაგიდები ჯუჯა ხეებით, თეთრი ყვავილებითა და კრისტალებით გახლდათ გაფორმებული. საოცარი სანახაობა იყო ზღვის ხედით.



**ფერადი და გრანდიოზული ქორწილის შემდგომი წვეულება დიდებული, 5-სართულიანი ტორტის გაჭრით დაგვირგვინდა**

**ფოტო**: DAWN EMERY, GETTY, CHRIS SINGER/JOHANNES KERNMAYER.


ღრუბელი
ორთქლის ქარხანა
#ღრუბელიგემრიელია
ღრუბელიუვნებელია
#ღრუბელივაკე / ი. აბაშიძის 38
#ღრუბელისაბურთალო / მ. კოსტავას 76
#ღრუბელივერა / მ. კოსტავას 23
#ღრუბელითბილისიმოლი
#ღრუბელიგორი / სმარტი
#ღრუბელიფრესკოვაჟაზე
#ღრუბელიბათუმი
ghrubeli
ghrubeliofficial

**WORLD EXCLUSIVE PICTURES AND INTERVIEW**

### იდილიური იტალიური ქორწილიდან 10 წლის შემდეგ

# სერ როდი და ლედი სტიუარტი

### ესექსში მდებარე საკუთარ სახლში გამართულ წვეულებაზე ერთმანეთისთვის კიდევ ერთხელ დადებული რომანტიკული ფიცი



**პენი და როდი თავიანთ არაჩვეულებრივ ქორწილში, პორტოფინოში, 2007 წლის ივნისში (ზევით) 1 წლის ვაჟთან - ალასტერთან ერთად. ამ დღის მომაჯადოებელი ატმოსფეროს გამო, წყვილმა ათი წლის შემდეგ გადაწყვიტა კვლავ გაეცვალა სიყვარულის ფიცი ერთმანეთისთვის. „არ მინდოდა იგივეს გამეორება, მაგრამ გარკვეული ელემენტების გამოყენების სურვილი ნამდვილად მქონდა“, - ამბობს პენი ცერემონიის გეგმაზე და იმასაც ამატებს, რომ მისი უმცროსი ვაჟი - ეიდენი, რომელიც მათი ქორწინების დროს დაბადებული ჯერ არ იყო, „აღფრთოვანებული“ გახლდათ, რომ ამ დღის ნაწილი გახდებოდა.**

როდ სტიუარტმა და პენი ლანკასტერმა პირველად ერთმანეთს სიყვარული პორტოფინოში მდებარე შუასაუკუნეების მონასტერში შეჰფიცეს. საქორწინო ცერემონიალს მაშინ იტალიელი ბავშვების გალობა, 100-ზე მეტი სტუმარი და ხმელთაშუა ზღვაზე გაშვებული ფეიერვერკი ამშვენებდა.

ათი წლის შემდეგ, წყვილმა – ამჟამად უკვე სერ როდიმ და ლედი სტიუარტმა (გასულ წელს ლეგენდარულ როკერს ბრიტანეთის დედოფალმა რაინდის წოდება მიანიჭა, რაც დედოფლის დაბადების დღის აღნიშვნას დაემთხვა), ფიცის დადების ცერემონიის განახლება გადაწყვიტეს. იგი ზაფხულის ერთ-ერთ მშვენიერ დღეს, ესექსში მდებარე წყვილის საკუთარი სახლის 18 ჰა ფართობის მქონე ეზოში, უძველესი წიფლის ქვეშ გაიმართა. თეთრ სამოსში გამოწყობილ წყვილს გარშემო უამრავი მეგობარი და დიდი ოჯახი შემოხვეოდა – ზუსტად ისე, როგორც ეს 10 წლის წინ ხდებოდა. წვეულებას ესწრებოდნენ წყვილის ვაჟებიც – 11 წლის ალასტერი, რომელიც 2007 წელს 1 წლის იყო, და 6 წლის ეიდენი. სწორედ ბიჭებმა მიაწოდეს მშობლებს საქორწინო ბეჭდები საიდუმლო ცერემონიის დროს.

„პენი ჩემი სამყაროა. რა გოგოა!“ – ამბობს როდი ამ განსაკუთრებული დღისადმი მიძღვნილ ექსკლუზიურ ინტერვიუში ჟურნალ HELLO!-სთან, – „სიყვარული ადამიანებისთვის ბევრ რამეს ნიშნავს, ჩემთვის კი ეს არის სურვილი, ყველაფერი საყვარელ ადამიანთან გააზიარო. ახლა პენი კიდევ უფრო ძლიერ მიყვარს, ვიდრე ოდესმე, თუ ეს საერთოდაც შესაძლებელია“.

„ყველაფერი საოცრად რომანტიკული და ლამაზი გამოვიდა. არავის არაფერს ვუმტკიცებთ, უბრალოდ მეგობრებსა და ოჯახს ვუზიარებთ ჩვენს სიყვარულს“, – ამბობს როდი წვეულების შესახებ. „კიდევ ერთხელ მოგვინდა ამ სიტყვების წარმოთქმა – „მე თანახმა ვარ“, – აღნიშნავს 46 წლის პენი და ამატებს, რომ ცერემონია იყო „ზუსტად ისეთი, როგორიც წარმომედგინა“.

წყვილი ერთმანეთს პირველად 18 წლის წინ, შემთხვევით, ლონდონის სასტუმრო Dorchester-ში გამართულ საშობაო წვეულებაზე შეხვდა. მათ ამჟამინდელ ზეიმს ასევე შეუერთდნენ სერ როდის ქალიშვილი – 37 წლის ქიმბერლი თავის 5 წლის გოგონა დელაილასთან ერთად, და 36 წლის ვაჟიშვილი შონი. ისინი ესექსში ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიდნენ. ასევე აქ ნახავდით მომღერლის კიდევ ორ შვილს – 25 წლის რენეს და 22 წლის ლაიამს, რომლებიც ამჟამად დიდ ბრიტანეთში მუშაობენ. ეს განსაკუთრებული დღე სერ როდის 30 წლის ქალიშვილმა რუბიმ გამოტოვა, თუმცა დღესასწაულზე დასწრების გაცდენა საპატიო მიზეზით მოხდა: სწორედ ამ დღეს რუბი თავის ბენდთან – THE SISTERHOOD-თან ერთად ნეშვილის სცენაზე მართავდა კონცერტს. ▶



ბედნიერმა წყვილმა კიდევ ერთხელ დადო სიყვარულის ფიცი ესექსში, 18 ჰა ფართობის მიწაზე მდებარე საკუთარი სახლის ეზოში. „ყველაფერი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც წარმომედგინა“, – ამბობს პენი წვეულებაზე.

„პენი ჩემი სამყაროა! ახლა ის კიდევ უფრო ძლიერ მიყვარს, ვიდრე ოდესმე, თუ ეს საერთოდაც შესაძლებელია“

## „ჩემი ძვირფასი ქალი საოცრად გამოიყურებოდა. მოკლედ რომ ვთქვა, პრერაფაელიტების ნახატს ჰგავდა“

პენი ამბობს: „ვუყურებდი როგორ იზრდებოდნენ ბავშვები, როგორ გაიარეს მათ ყველა ეტაპი – თინეიჯერობიდან შედგარ პიროვნებებამდე. ჩვენი ურთიერთობა უფრო და უფრო გამყარდა. ყველა აქ არის და ასეც უნდა იყოს“.

შვილების გარდა, წვეულებას 100-მდე სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის სერ როდის ყოფილ ბენდ Faces-ის წევრები – რონი ვუდი მეუღლე სალისთან ერთად და კენი ჯოუნსი ცოლთან – ჯეინისთან ერთად. ასევე, სტუმართა შორის იხილავდით სატელევიზიო შოუ STRICTLY COME DANCING-ის პროფესიონალ მოცეკვავე იან უეტის, რომელიც ათი წლის წინ პენის პარტნიორი იყო BBC1-ის შოუში.

ცერმონიის დროს, რომელიც შამპანურით გამასპინძლების შემდეგ, საღამო ხანს დაიწყო, სტუმრები როდის და პენის კულტურული ძეგლის მნიშვნელობის მქონე, მე-2 კატეგორიაში შემავალი სახლის ულამაზეს ბაღში განთავსებულ თეთრ სკამებზე ისხდნენ. პენის საყვარელ ძაღლს, „ბაბლსაც“ კი ერგო მნიშვნელოვანი როლი – იგი უკან გაყვა მეპატრონეს და მის ფეხებთან ჩამოჯდა.

წვიმიანი ზაფხულის დღის მოლოდინში, ბრიტანულმა შოუმ LOOSE WOMEN წვეულებისთვის თეთრი ქოლგები გამოყო, თუმცა პენი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა თეთრი ხელსახოცები დაერიგებინათ, რადგანაც ცერემონიის დროს დამსწრე საზოგადოებამ ცრემლები ვერ შეიკავა.

„ყველა ელოდებოდა, რომ ვიტირებდი“, – იხსენებს პენი იმ მომენტს, როდესაც თავის 72 წლის მეუღლეს კიდევ ერთხელ გაუმეორა, რომ მუდამ ეყვარებოდა, – „და როდესაც მე და როდს თვალები აგვიცრემლიანდა, ვეღარავინ შეიკავა ცრემლები. ნამდვილი დომინოს ეფექტი იყო“.

„თვალები ცრემლებით ამევსო და ამით ვამაყობ“, – ამბობს სერ როდი.

### ოჯახური ნეტარება

როკვარსკვლავისა და მისი მეუღლის კავშირი ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და სტაბილური ქორწინება ამ საშწუხაროდ არამყარ სფეროში, და წლების განმავლობაში მათ, როგორც პენი ამბობს, „ისწავლეს ერთმანეთის მართვა“.

მათი სამყაროს ცენტრი ალასტერი და ეიდენია, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ მშობლების ასეთ მნიშვნელოვან დღეს წამყვანი როლები ეთამაშათ. „ჩვენი ქორწილის სურათების შემხედვარე, პატარა ეიდენი ამბობდა: „მე სად ვიყავი?“ – მე კი ვპასუხობდი: „შენ მაშინ დაბადებული არ იყავი, ძვირფასო“, – ამბობს პენი, – „ასე რომ, ახლა ისე უხარია ეს ცერემონია, უკვე აღარ გრძნობს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამოტოვა“. ▶



სტუმრები უხვი აპლოდისმენტებით შეეგებნენ სტიუარტებს, როდესაც მათ სკამების რიგში ჩამოიარეს. პენის ერთგული ძაღლი „ბაბლსიც“ მორჩილად მოყვებოდა პატრონს.







წყვილმა ტრადიციული ფიცი საღამოს გამართულ ცერემონიაზე გაცვალა, რომელიც მუსლინის ნაჭრებით მორთული ძველი წიფელის ქვეშ გაიმართა. „ვუყურებდი გარშემომყოფ ჩვენს საყვარელ ადამიანებს და ამ მომენტით ვტკბებოდი“, – ამბობს პენი.





პორტოფინოში გამართული ქორწილი ბევრ ისეთ ნიუანს შეიცავდა, რისი გამეორებაც პენის ამჯერადაც სურდა. წყვილმა ტრადიციული ფიცი გაცვალა ცერემონიაზე, რომელსაც მამა – იან გილმორი უძღვებოდა. სწორედ მან თავის დროზე უხელმძღვანელა იტალიაში გამართულ ცერემონიასაც (და მონათლა წყვილის ორი შვილი). პენიმ მოიწვია იგივე ფლორისტი, ფოტოგრაფი და სტილისტი, რომელმაც პენის ქერა თმა სანახევროდ დაუწნა და ვარცხნილობა ბაღის ყვავილებით გაუფორმა.

წარსულ ქორწილთან კავშირი მის კაბასაც ჰქონდა. პენი არაოფიციალურ, მაგრამ ამავდროულად „ბოჰემურ" კაბას ეძებდა, როდესაც ლოს-ანჯელესის BARNEYS მაღაზიაში გრძელი, ულამაზესი თეთრი მაქმანებიანი კაბა აღმოაჩინა. „ჩემს ტანზე ზუსტად მორგებული არ იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ მასში ძალიან კომფორტულად ვიგრძნობდი თავს", – ამბობს პენი.

მხოლოდ შინ მისვლის შემდეგ, მან შემთხვევით დახედა იარლიყს და აღმოაჩინა, რომ კაბა პორტოფინოში იყო შეკერილი. „გავიფიქრე – ღმერთო, ეს კაბა აუცილებლად უნდა ჩავიცვა".

მისი ამაყი მეუღლე აღნიშნავს: „ჩემი ძვირფასი ქალი საოცრად გამოიყურებოდა (ღმერთმა იცის, რა იპოვა ჩემში), თუმცა ჩემთვის ის ყოველთვის ასეთია. მოკლედ რომ ვთქვა, ის პრერაფაელისტების ნახატს ჰგავდა. ულამაზესი იყო".

თავდაპირველად, ცერემონია იტალიაში იგეგმებოდა, თუმცა შემდეგ წყვილმა ამ დღის აღნიშვნა იმ სახლში გადაწყვიტა, სადაც ისინი სამი წლის წინ გადავიდნენ და სარემონტო სამუშაოებიც ჩაატარეს. მე-18 საუკუნეში აშენებული სახლი, პენის სიტყვებით, „ზაფხულში მღერის. მას ნამდვილად აქვს სული, ხასიათი, და ჩვენც ვიფიქრეთ – რა კარგი იქნებოდა აქ წვეულების მოწყობა".

პენიმ ყველა დეტალი გაითვალისწინა – მორთო ბაღი სტუმრებისთვის, რომლებმაც ჯერ მდელოზე მიირთვეს სასმელები, შემდეგ კი ხეივნის გავლით, ხეებში ჩაფლულ ტერიტორიაზე მოხვდნენ, სადაც ცერემონია გაიმართა. პენიმ ყვავილებითა და მუსლინის ნაჭრებით წიფელიც კი გააფორმა, სხვა ხეზე კი ჩარჩოებში ჩასმული ოჯახური ფოტოები, ბაფთები ჩამოკიდა და ამგვარად „ოჯახური ხე" შექმნა. ტოტებზე ეკიდა ყვავილებით გაფორმებული ჩიტის გალიებიც.

გასული ათი წლის გახსენებისას პენის სჯერა, რომ მან და როდმა „ერთმანეთი შეისისხლხორცეს". „ჩვენი გულები ახლა ერთი მთლიანობაა", – ამბობს ის. ფიცის ხელახლა დადების გადაწყვეტი- ▶



რომანტიკული ინგლისური ბაღის თემის გასაგრძელებლად, ყველა სტუმარს საკუთარ ბაღებში დასათესად ველური თესლებით სავსე პატარა პარკები დაურიგდა. პარკებს დართული ჰქონდა იარლიყი Let Love Grow და სახელები – Penny and Rod; ასევე ცერემონიის თარიღი: 17 ივნისი, 2017.



შოუ Loose Women-ის ვარსკვლავ პენის ბაღის მორთულობის ნაწილს წყვილისა და მათი საყვარელი ადამიანების ჩარჩოებში ჩასმული ფოტოების კოლაჟი – „ოჯახური ხე“ წარმოადგენდა. ასევე, ტოტებს ლენტებზე ჩამოკიდებული ყვავილებით სავსე გალიები ალამაზებდა.

„ჩვენი სახლი ზაფხულში მღერის. მას ნამდვილად აქვს სული, ხასიათი, და ჩვენც ვიფიქრეთ – რა კარგი იქნებოდა აქ წვეულების მოწყობა“



სასმელების მაგიდა გაფორმებულია ყვავილების გირლანდით, სადაც ასეთი წარწერაა: „ჩვენ კვლავ თანახმა ვართ, ათი წლის შემდეგაც კი!“ (ზევით). ცერემონიის დასასრულს, სუფრას პენი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „საოცარი, არაჩვეულებრივი სადილი“. სადილი წყვილის შეფმზარეულებმა - ლონდონელმა ჰემიშ ბარონმა და ბობი კოულმა მოამზადეს. ისინი სპეციალურად ამ დღისთვის ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიდნენ. მენიუ იტალიური და ინგლისური კერძების მიქსს წარმოადგენდა (ქვევით, მარცხნივ). ელეგანტურად მორთულ სუფრას (ქვევით, მარჯვნივ) წყვილის ადგილობრივი საკონდიტროს - Mayfield Farm-ის მინიფუნთუშები ამშვენებდა.



Penny and Rod

Sir Rod

17th June 2017

Tuscan Heritage Tomatoes
seared Sardinian flat peach
burrata cream, basil oil, tomato meringue

—

English Rosé Veal
pearl barley, pea and courgette flower risotto
chanterelles, silverskin onions, Jus

—

Pretty Sweet Millefoglie
with wild berries, port and raspberry coulis



ლება მათი ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

„ერთმანეთს დროს ქვეცნობიერად ვუთმობთ, ეს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ხდება. ყოველთვის ვფიქრობ – ძალიან გაგვიმართლა, რადგან გვაქვს იმის საშუალება, რომ როცა გვინდა არ ვიმუშაოთ, შეგვიძლია რომანტიკული უიქენდის მოწყობა და ცოტაოდენი რომანტიკის შემოტანა ჩვენს ცხოვრებაში“, – ამბობს პენი, – „ჩვენ მუდამ ვამჟღავნებთ გრძნობებს და ვეკითხებით ერთმანეთს – რაზე ფიქრობ?“

## მხიარული დრო

„მიყვარს ხალისიანი, ჩერჩეტი როდი“, – იღიმის პენი, – „და ისიც, რომ ნამდვილი ჯენტლმენია. მას ყველაფერი აქვს, თუმცა ყველაზე მეტად მასში როდის რომანტიკული განწყობა და სითავხედე მიყვარს“.

„როდისნაირი სუპერვარსკვლავი დროის უმეტეს ნაწილს საკუთარ თავს უთმობს, მაგრამ ეს ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობაა, რაც კი მას ოდესმე ჰქონია“, – ამბობს პენი მეუღლეზე, რომელიც წარსულში ორჯერაა განქორწინებული, – „მას არასოდეს უცხოვრია ერთ ჭერქვეშ ოჯახთან, როდესაც მისი შვილები იზრდებოდნენ. არ გა- ▶





ცერემონიაზე როდს გვერდს მისი ექვსი შვილი უმშვენებდა (მარცხნიდან): ლოს-ანჯელესიდან ჩამოსული შონი და ქიმბერლი; მისი და პენის შვილები – ალასტერი და ეიდენი; და ბრიტანეთში მცხოვრები რენე და ლაიამი. ამ დღეს მხოლოდ რუბი გამოაკლდა. იგი მართავდა კონცერტს თავის ქანთრი-დუეტთან **The Sisterhood.**

„ვუყურებდი, როგორ იზრდებოდნენ ბავშვები, როგორ გაიარეს ყველა ეტაპი თინეიჯერობიდან შემდგარ პიროვნებებამდე. ჩვენი ურთიერთობა უფრო და უფრო გამყარდა“





ზეიმი ტენტში გაგრძელდა, საღამოს ერთ-ერთი ვარსკვლავი კი „ბაბლსი“ გახდა, რომელმაც თავის პატრონთან ჯერ ვალსი შეასრულა, შემდეგ კი პენის სიყვარულით მიეხუტა (ზევით, მარჯვნივ).

უტარებია დღეები ბავშვებთან ერთად და არ შესწრებია იმ ცვლილებებს, რომელიც მათ გაიარეს“.

თუმცა ალასტერთან და ეიდენთან ყველაფერი პირიქითაა: „მან ისწავლა კომპრომისზე წასვლა, ყველაფერს უფრო გაგებით ეკიდება და სხვების მოთხოვნებსაც ითვალისწინებს. ურთიერთობაში ძალიან რბილი გახდა და მისი უფროსი შვილები იმასაც კი აღიარებენ, რომ ახლა უკეთესი მშობელია, რომელიც მათ უფრო მეტ დროს უთმობს.

## როკვარსკვლავის ცხოვრება

როკვარსკვლავზე დაქორწინება, რომელსაც უყვარს კონცერტების გამართვა მსოფლიო მაშტაბით, ნიშნავს იმას, რომ სერ როდი და ლედი სტიუარტი დროის გარკვეულ ნაწილს ცალ-ცალკე ატარებენ. მომღერალი თავის დროს ინგლისსა და ლოს-ანჯელესს შორის ანაწილებს. ინგლისში მისი უმცროსი ვაჟები სწავლობენ, ლოს-ანჯელესში კი მისი უფროსი შვილი ცხოვრობს. აქ ოჯახი საზაფხულო არდადეგებზე ჩამოდის. „ეს დაშორებები, რომელიც ორ კვირაზე მეტხანს არასოდეს გრძელდება, „აახლებს“ ურთიერთობას“, – ამბობს პენი.

„ორივე ერთმანეთს თავისუფლებას ვაძლევთ – ეხება ეს მეგობრებთან ერთად გასვლას, ოჯახსა თუ სამსახურს, მაგრამ ეს კავშირი ჩვენ შორის ყოველთვის არსებობს. ამიტომაც ვუბრუნდებით ერთმანეთს. ვიცით, რომ ჩვენი ბედნიერების ეპიცენტრი იქ არის, სადაც ერთად ვართ“.

ამ ბედნიერებას წლებით გამოცდილი მეგობრების ახლო წრე იზიარებს. მათ რიცხვში შედის პენის სამი საუკეთესო მეგობარი და მთავარი ხელისმომკიდე. ეს ე.წ. „საიდუმლო წრეა“, რომლის წევრებიც ერთმანეთს პირველად სკოლაში შეხვდნენ. ასევე, ახლო მეგობრების სიაშია როდის ხელისმომკიდე, გიტარისტი ჯიმ კრეგანი.

ცერემონიის დასრულებისთანავე, სტუმრები სახლში შებრუნდნენ და სუფრას მიუსხდნენ. წყვილის შეფმზარეულებმა – ბრიტანელმა ჰემიშ ბარონმა და ბობი კოულმა ლოს-ანჯელესიდან, მოამზადეს სამეტაპიანი მენიუ. იგი



წყვილი საზეიმოდ ჭრის შთამბეჭდავ დესერტს – MILLE-FEUILLE-ს, რომელიც კენკროვანი ხილითა და ყვავილებითაა გაფორმებული.

## „პენიმ ყველაფერი შემატა ჩემს ცხოვრებას, უპირველესად კი – კმაყოფილება“

იწყებოდა იტალიური სალათით, გრძელდებოდა ხბოსხორციანი რიზოტოთი, რომელსაც აგვირგვინებდა არაჩვეულებრივი დესერტი – ხილის უზარმაზარი ფრანგული ნამცხვარი, სახელწოდებით MILLE-FEUILLE (მათი იტალიური ქორწილის დესერტის გამოძახილი). ტრადიციის თანახმად, სერ როდი და პენი ბოლოს გამოჩნდნენ და ტორტის ზედა ნაწილი მორთეს, რის შემდეგაც ტორტი საზეიმოდ გაიჭრა.

თავის არაოფიციალურ სიტყვაში წყვილმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში არსებულ იმ სევდიან განწყობას, რომელიც დაკავშირებული იყო მანჩესტერსა და ლონდონში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან და გამანადგურებელ ხანძართან GRENFELL TOWER-ში.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ გაიმართა შემოწირულობების შეგროვება EVENING STANDARD DISPOSSESSED FUND-ისთვის GRENFELL TOWER-ში მომხდარი ხანძრის გამო დაზარალებულთა დასახმარებლად. როდმა ფონდს სოლიდური თანხა გადასცა. ამ ინტერვიუსთვის მიღებული თანხაც იმავე ფონდში გადაირიცხა.

### განსაკუთრებული პერფორმანსი

სადილის შემდეგ სტუმრების გართობაზე ჯერ პენის ძმამ – ოლივერმა იზრუნა, რომელმაც დაუვიწყარი ფეიერვერკი აჩუქა დამსწრე საზოგადოებას. შემდეგ კი ორმა მოცეკვავემ სამეჯლისო ცეკვა შეასრულა. სხვათა შორის, პენიმ და როდმა ეს წყვილი პირველად RITZ-ში ნახეს, სადაც საღამოობით ხშირად დადიან. მათ ასევე დაპატიჟეს მომღერალი და პიანისტი ჰარის ადამსი, რომელმაც რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა. ადამსს წყვილი დორჩესტერში შეხვდა, სადაც მათ პირველად ნახეს ერთმანეთი. მუსიკოსმა სპეციალურად ამ მიღებისთვის ბენდიც კი შეკრიბა.

დღის სიმღერად წყვილმა ისევ ის აირჩია, რომელიც მათ ქორწილში ჟღერდა. ეს იყო ეტა ჯეიმსის AT LAST. ამ სიმღერაზე წყვილმა პირველი ცეკვა შეასრულა. პენიმ საცეკვაო მოედანი კიდევ ერთხელ დაიპყრო, როცა ტელეშოუ STRICTLY-ისდროინდელ პარტნიორთან – ▶



თავისი „ბოჰემური“, მაქმანებიანი კაბა წვეულებისთვის პენიმ ლოს-ანჯელესში შეიძინა და მისი ყიდვის შემდეგ სიხარულით აღმოაჩინა, რომ კაბა პორტოფინოში იყო შეკერილი, სადაც მან ათი წლის წინ იქორწინა.

იანთან ერთად იცეკვა. „ჯაივი ვიცეკვეთ. საერთოდ არ მახსოვდა ეს ცეკვა, მაგრამ იანმა მითხრა: ხელი მომკიდე და გამომყევი. ძალიან ვიხალისეთ“. პენიმ „ბაბლსთანაც“ წაიცეკვა. „უსაყვარლესი ძაღლია“, – აცხადებს ის ამაყად.

ღამის 2 საათამდე, ყველა, ბავშვების ჩათვლით, საცეკვაო მოედანზე გაჩერდა, შემდეგ კი სტუმრები ნელ-ნელა სახლებისკენ გაემართნენ, თან გაიყოლეს პატარა პარკები იარლიყით LET LOVE GROW, სადაც ბაღში დასათესი ველური თესლები იყო ჩაყრილი.

წყვილი ხანმოკლე თაფლობისთვეს ესპანეთში გაატარებს, სადაც ისინი თავიანთი მეგობრების – ფეხბურთის შოტლანდიური გუნდის მენეჯერ გორდონ სტრანჩანისა და მისი მეუღლის – ლესლის 40-წლიანი ქორწინების აღსანიშნავ ზეიმს დაესწრებიან.  ამის შემდეგ სტიუარტების წელიწადი ჩვეულებისამებრ გაგრძელდება: სერ როდი თავის ტურნეს დაუბრუნდება და მთელი ზაფხულის მანძილზე კონცერტებს აშშ-ის სხვადასხვა შტატში გამართავს. ოჯახი მას დროდადრო შეუერთდება.

„ვერაფერს ვამჩნევ როდს. ისევ ისეთი აქტიურია, პენსიაზე არც კი ფიქრობს. ყველაფერი გრძელდება! ბავშვები იზრდებიან და ჩვენ კვლავაც გვიყვარს ერთმანეთი“, – ამბობს პენი. მშვიდ მომენტებში კი, როცა ამის დრო აქვს, პენი იმ დღეს იხსენებს, როცა ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირეს. „ათი წლის წინ, ჩვენი ქორწინების დღეს, ყველაფერი ბუნდოვნად მახსენდება. მაშინ მხოლოდ როდს ვხედავდი. თითქოს ბუშტში ვისხედით. ამჯერად კი ზეიმის სრულფასოვანი თანამონაწილე ვიყავი. ვუყურებდი გარშემომყოფ ჩვენს საყვარელ ადამიანებს და ამ მომენტით ვტკბებოდი“.

„და იქნებ“, – ამატებს პენი, – „ჩვენ ამ ყველაფერს კიდევ გავიმეორებთ ქორწინების 20 წლის იუბილეზე“. H

**ტექსტი**: ROSALIND POWELL
**ფოტო**: SIM CANETTY-CLARKE
**ვარცხნილობა**: ASHLEY GAUNT/STEVEN CAREY SALON

*როდმა და პენიმ ამ სტატიისთვის მიღებული თანხა მთლიანად Evening Standard Dispossessed Fund-ში, Grenfell Tower-ში მომხდარი ხანძრით გამოწვეული ტრაგედიის მსხვერპლთა დასახმარებლად გადარიცხეს.*

**„ყველა ცეკვავდა და ერთობოდა. ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო“, – ასე აჯამებს დღეს პენი**



ღამის ცას ფერადი გრანდიოზული ფეიერვერკი ანათებს.




captain plus

მ. ბროსეს ქ. №2
242 40 40
facebook.com/capplus
www.captain.ge



ცოლ-ქმრად ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, ლეომ და ანტონელამ თავის 4 წლის ვაჟთან – ტიაგოსთან ერთად, არგენტინის ქალაქ როსარიოში მდებარე City Center სასტუმროს ოთახი გადმოჭრეს და სტუმრების მიერ შექმნილი კორიდორი ვარდის ფურცლების წვიმაში და აპლოდისმენტების თანხლებით გაიარეს.

**წყვილი, რომელმაც თავის ურთიერთობას ოფიციალური სახე 2010 წელს, სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მისცა, ერთმანეთი ბავშვობაში გაიცნო. მაშინ ლეო ცხრა წლის იყო, ანტონელა კი რვის**



### ზაფხულის ივენთის ყველა დეტალი და საუკეთესო ფოტოები

# ლეო მესი და ანტონელა როკუცო

## ქორწილი, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა

ათწლიანი თანაცხოვრებისა და ორი საერთო შვილის ყოლის შემდეგ, ფეხბურთის ვარსკვლავი და მისი მეორე ნახევარი მშობლიურ არგენტინაში დაქორწინდნენ. ცერემონიას 260 სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის პლანეტის რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი და შაკირა, რომლის გამოჩენას ყველა განსაკუთრებულად ელოდა.

ყველაფერი 1996 წელს დაიწყო, როდესაც ლიონელ მესი ანტონელა როკუცოს დეიდაშვილს – ლუკას სკაგლიას შეხვდა. ისინი ერთად არგენტინის ქალაქ როსარიოს გუნდში NEWELL'S OLD BOYS თამაშობდნენ. მაშინ ლეო მხოლოდ ცხრა წლის იყო, თუმცა უკვე იცოდა, რომ მეგობრის 8 წლის დეიდაშვილი მისი ცხოვრების ქალი გახდებოდა. რამდენიმეწლიანი ცალ-ცალკე ყოფნის დროს, მესი წერილებს უგზავნიდა მეგობარს, სადაც აცხადებდა, რომ ანტონელა ერთ დღეს მისი შეყვარებული გახდებოდა. ცამეტი წლის ასაკში იგი საცხოვრებლად ბარსელონაში გადავიდა, სადაც უკვე „ბარსას" მაისურში გამოწყობილმა ელვისებური სისწრაფით წარმატებული კარიერის შექმნა დაიწყო. ლეოსა და ანტონელას დაშორება გარდაუვალი აღმოჩნდა, შორი მანძილის გამო კი მათი კონტაქტიც თანდათან შესუსტდა. წლების შემდეგ ანტონელას მეგობრის სიკვდილმა კვლავ გააერთიანა ისინი და მათი სიყვარულიც ნელ-ნელა გაცოცხლდა. „დავინახე, როგორ გაიზარდა ის, მან კი ზრდასრული ლეო დაინახა. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს კარგად იცნობენ, ასე რომ მე არანაირი ეჭვი არ მქონია", – აღიარებს მესი არგენტინულ გაზეთ CLARÍN-თან საუბარში. ყოველგვარი ეჭვისა და აჩქარების გარეშე, ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავი და მისი ცხოვრების ქალბატონი 30 ივნისს წყვილის სიყვარულის ქალაქ როსარიოში, არგენტინაში დაქორწინდნენ. ეს ნაბიჯი მათ ათწლიანი თანაცხოვრებისა და ორი შვილის გაჩენის შემდეგ გადადგეს. წყვილს ჰყავს ოთხი წლის ტიაგო და წლინახევრის მატეო.

### კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი

წყვილმა ფიცი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 260 სტუმრის თანდასწრებით დადო. ცერემონიას, რომელიც როსარიოს სასტუმრო HOTEL ROSARIO CITY-ში გაიმართა, მოსამართლე გონსალო კარილიო ერერა ხელმძღვანელობდა. ყოველივე ამას საზეიმო წვეულება ▶



ოფიციალურ მხარესთან ერთად, ახალდაქორწინებულებმა თავისი სიყვარული უსახელო თითზე ამოსვირინგებული ქორწინების თარიღითაც აღნიშნეს.

მოჰყვა. ამ დაუვიწყარი დღისთვის ანტონელამ ესპანელი დიზაინერის – ROSA CLARA-ს კაბა შეარჩია. უნიკალური დიზაინის კაბა ქალთევზას სტილში, ღრმა, გულის ფორმის დეკოლტეთი და ნაზი მაქმანებითა და გიპიურის ჩართვებით, „ტატუს“ ეფექტს ქმნიდა. კაბის შექმნაზე ორასზე მეტი საათი დაიხარჯა და მისი ძირითადი მახასიათებელი სხვადასხვა დიზაინის მაქმანის ერთობლიობა იყო, რაც სიმსუბუქის შეგრძნებას ქმნიდა.

ბედნიერი წუთებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, როზა კლარამ თავად გაუზიარა კაბის შექმნისგან



**ცერემონია ხანმოკლე და ძალიან მარტივი იყო, თუმცა ემოციებით დახუნძლული**



ლეო მესი ემოციებით ეგებება თავის უფროსს ვაჟს ტიაგოს, რომელსაც ცერემონიაზე მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა.



მიღებული ემოციები მაყურებელს HOLA TV-ის გადაცემაში HOLA! HOLA!: „ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ. ანტონელასთვის ტანსაცმელი არაერთხელ შევვიქმნია. ძალიან დახვეწილი სტილი აქვს, ამიტომაც მისთვის იდეალური კაბის შერჩევა არც თუ ადვილია. ჩავატარეთ სხვადასხვა ტესტი, შევცვალეთ ესკიზები და საბოლოოდ, მივიღეთ ის, რასაც ვეძებდით“.

მოდური ტენდენციების მოყვარულმა ლეომ, თავის მხრივ, სიმორცხვის მიუხედავად, ჯორჯო არმანის კლასიკური მუქი ნაცრისფერი სმოკინგი – MADE TO MEASURE შეარჩია.

ცერემონია ხანმოკლე და ძალიან მარტივი იყო, თუმცა ემოციებით დახუნძლული, რადგან ნეფე-პატარძალთან ერთად აქ კიდევ ერთი ვარსკვლავი კაშკაშებდა – ტიაგო, წყვილის უფროსი ვაჟი, რომელსაც მშობლებს შორის ჯდომა და მათი დაქორწინების უშუალო მოწმის სტატუსის გაზიარება ხვდა წილად. ქორწილს მუსიკალურად ანტონელას საყვარელი მომღერალი – აბელ პინტოსი აფორმებდა, რომელმაც შეასრულა სიმღერა SIN PRINCIPIO NI FIN. ცოლ-ქმრად ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, ლეო და ანტონელა ემოციებს ვერ იკავებდნენ. მათ გადმოჭრეს ოთახი და სტუმრების მიერ შექმნილი კორიდორი ვარდის ფურცლების წვიმაში გაიარეს.

## ბარსელონა და არგენტინა

სტუმართა შორის წარმოდგენილი იყო „ბარსელონას“ თითქმის მთლიანი გუნდი და არგენტინის გუნდის ნახევარზე მეტი. ქორწილში ყველას ახლდა მეუღლე ან მეგობარი გოგონა.

აქ ნახავდით „ბარსელონას“ ყოფილ მოთამაშე ხავი ერნანდესს მეუღლესთან – ნურია კუნილიერასთან ერთად, რომელიც როზა კლარას კაბაში იყო გამოწყობილი; სესკ ფაბრეგასს თავის მეგობარ ქალ დანიელა სემანთან ერთად, რომელიც ხავერდის იისფერ კაბაში თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა; სიძის საუკეთესო მეგობარს – კარლეს პუიოლს მოდელ ვანესა ლორენცოსთან ერთად. ვანესას ელისაბეტა ფრანჩის გრძელი ხავერდის კაბა ეცვა. მოდელს გაშლილი თმა და SUAREZ-ის საყურე, RABAT-ის სამაჯური და ბეჭედი ამშვენებდა. ▶






ახალდაქორწინებულების რომანტიკული კოცნა.



წვეულებაზე ძალიან დახვეწილად და თანამედროვედ გამოიყურებოდა რომარეი ვენტურა – ხორდი ალბას მიმზიდველი სევილიელი მეგობარი გოგონა. მას ბისერით გაწყობილი შავი კაბა ეცვა, რომელიც ასევე როზა კლარას ეკუთვნოდა. ამავე დიზაინერმა იზრუნა ანტონელას დედის – პატრიციას, და მისი დების – პაოლას და კლარას ჩაცმულობაზე.

ფეხბურთელ სერხიო ბუსკეტსის მეგობარმა გოგომ – ელენე გალერამ დღესასწაულისთვის კატალონიელი დიზაინერის GEORGETTE-ის თვლებით გაფორმებული კაბა შეარჩია. ლუის სუარესის მეუღლე სოფია ბალბისაც, ასეთივე სტილის მოწითალო კაბა ამშვენებდა.

და მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყველა ქორწილში, აქაც ყურადღების ცენტრში ნეფე-პატარძალი იყო, არანაკლებ ყურადღებას ჟერარდ პიკე და შაკირა იქცევდნენ. შაკირამ ამ ივენთზე გამოჩენით უარყო გავრცელებული ჭორები არგენტინაში არჩამოსვლასთან დაკავშირებით. კოლუმბიელმა მომღერალმა არჩევანი ესპანური ბრენდის – YOLANCRIS-ის შავ, გამჭვირვალე კაბაზე შეაჩერა.

წვეულებას ასევე ესწრებოდნენ არგენტინელები – ანჰელ დი მარია, მარკოს როხო, მარიანო ანდუხარი, პაბლო საბალეტა, მაქსი როდრიგესი და გონსალო იგუაინი მესის ეროვნული გუნდიდან.

ლეომ და ანტონელამ თავიანთი ფესვები არა მხოლოდ ქორწინების ადგილის არჩევისას, არამედ მენიუს შედგენის დროსაც გაითვალისწინეს. სტუმრებმა დააგემოვნეს გამორჩეულად გემრიელი კერძები როგორც ადგილობრივი სამზარეულოდან (საქონლის ხორცი, ქათმის წვნიანი და შემწვარი CHINCHULINES-ები), ასევე საერთაშორისო გასტრონომიიდან.

წყვილმა სტუმრებთან ერთად არგენტინის ეროვნულ გუნდში ლეოს კომპანიონის – კუნ აგუეროს მეგობარი გოგონას – კარინას, რომელიც LA PRINCESITA-ს სახელით არის ცნობილი, ბენდ ROMBAI-ს რიტმებზე იცეკვა. სწორედ ამ დროს, პატარძალმა ყველანი როზა კლარას კიდევ ერთი კაბით გააოცა.

„დიდი მადლობა ყველას, რომ ეს განსაკუთრებული დღე ჩვენთან ერთად გაატარეთ“, – დაწერა ფეხბურთელმა სოციალურ ქსელში. 14 ივლისს მესი დაუბრუნდა თავის საქმეს, მანამდე კი ახალდაქორწინებულებმა თაფლობისთვე ანტიგუაში გაატარეს, რომელიც ასევე „365 სანაპიროს კუნძულით“ არის ცნობილი. ეს წელიწადის თითო დღის ერთ სანაპიროზე გატარებას გულისხმობს. H

**სასტუმროს გარეთ, მედიის 150-ზე მეტი აკრედიტებული წარმომადგენელი და უამრავი ცნობისმოყვარე ადამიანი შეიკრიბა**

**ტექსტი:** ALEXANDRA WILBY. **ფოტო:** ANDRÉS PREUMAYR/AGENCIAS/ REDES SOCIALES, GETTY IMAGES




ოფიციალური „მესის ლედის“ ახალი სტატუსით აღფრთოვა-ნებულმა ანტონელამ ქორწინების მოწმობის დემონსტრირებისგანაც ვერ შეიკავა თავი



ახალდაქორწინებულები პოზირებენ თავის მშობლებთან, და-ძმებთან და დის/ძმისშვილებთან.



# ედიტა ვილკევიჩუტე

## VICTORIA'S SECRET-ის „ანგელოზის" სადედოფლო კაბა თამუნა ინგოროყვამ შექმნა

2017 წელი ქართული მოდის ინდუსტრიისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულებისა და საერთაშორისო პრესის აქამდე უპრეცედენტო გამოხმაურების შემდეგ, უფრო და უფრო მეტი ვარსკვლავი ირჩევს ქართველი დიზაინერების სამოსს. ცოტა ხნის წინ **კეტი პერიმ MACH & MACH**-ის ორი LOOK-ი მოირგო, **ლედი გაგამ** კი არჩევანი **გიორგი ქებურიას** კოპლებიან კაბაზე შეაჩერა. რამდენიმე კვირის წინ VICTORIA`S SECRET-ის „ანგელოზმა" – **ედიტა ვილკევიჩუტემ**, საკუთარ ქორწილში, სადედოფლო კაბის შექმნის პასუხისმგებლობა ასევე ქართველ დიზაინერს – **თამუნა ინგოროყვას** მიანდო. ტოსკანაში გამართულ ცერემონიალს სხვა ვარსკვლავურ სტუმრებთან ერთად ლეგენდარული ფოტოგრაფი – **მარიო ტესტინოც** ესწრებოდა. ცხადია, პატარძლის ფირზე აღბეჭდვის პატივიც სწორედ მას ერგო. 28 წლის ლიტველი მოდელის ულამაზესი ჰაეროვანი კაბა ჩახსნილი გვერდითა და ამოღებული გულით ელვის სისწრაფით იქცა მოდის კრიტიკოსებისა და სოციალური მედიის ფავორიტ LOOK-ად. თუმცა ედიტა არ არის პირველი მაღალი რანგის ვარსკვლავი, რომელიც ქართველი დიზაინერის სამოსს ატარებს – **თამუნა ინგოროყვა** VICTORIA`S SECRET-ის „ანგელოზისა" და ჰოლანდიელი სუპერმოდელის – **დაუცენ კრუზის** საყვარელი დიზაინერიც გახლავთ.



**ტექსტი**: თათია ლაბაძე. **ფოტო**: ISTOCK, GETTY IMAGES.




ახალი სახელი ქართული ღვინის ისტორიაში




# კრიშტიანუ რონალდუ
## ვარსკვლავის გუნდის ტყუპი წევრები



ის უკვე არის მოსიყვარულე მამების პრემიერლიგაში, და ახლა ფეხბურთის სუპერვარსკვლავმა **კრიშტიანუ რონალდუმ** ე.წ. „ჰედთრიქი" განახორციელა, რაც ფეხბურთში ზედიზედ სამი გოლის გატანას ნიშნავს. რონალდუ უკვე სამი შვილის მამაა – ცოტა ხნის წინ მას ტყუპები შეეძინა. **„რეალ მადრიდის**" ვარსკვლავმა, რომელსაც ჰყავს 7 წლის ვაჟი – **კრიშტიანუ ჯუნიორი**, გააზიარა ფოტო, სადაც ორ ახალშობილთან ერთადაა აღბეჭდილი.

***„ისეთი ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ჩემი ცხოვრების ორი ახალი სიყვარულის ხელში აყვანა..."*** – დაწერა ფეხბურთელმა სოციალური მედიის გვერდზე.

რონალდუს მშობლიური პორტუგალიური სატელევიზიო არხის განცხადებით, მის ტყუპ ვაჟსა და ქალიშვილს ევა და მატეო დაარქვეს. ტყუპები ანონიმურმა სუროგატმა დედამ ივნისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გააჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების დაბადებას რონალდუ ვერ დაესწრო, პორტუგალიელ კაპიტანს მისცეს სპეციალური ნებართვა გამოეტოვებინა მატჩი კონფედერაციების თასის მესამე რაუნდის ფლეი-ოფში, რათა მოგვიანებით ახალშობილები ენახა.

***„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ როგორც იქნა, მომეცა შანსი პირველად ვნახო ჩემი შვილები"***, – აღნიშნა კრიშტიანუმ Facebook-ზე გაკეთებულ თავის განცხადებაში.

ამბავი რონალდუს ორი ახალი მოთამაშის შესახებ გაჩნდა იმ ჭორების ფონზე, რომ ვარსკვლავის მშობლიური გუნდი მალე ახალ მონაწილეს მიესალმებოდა. გასულ თვეში ისიც დაიწერა, რომ თავდამსხმელის შეყვარებული – **ჯორჯინა როდრიგესი** ორსულადაა და ბავშვს ოქტომბერში ელოდებიან.

**ფოტო:** KATHYRIN WILSON. **ფოტო:** INSTAGRAM, GETTY IMAGES.

Inspiring poets since 1862.



# იულიუს მაინლი

## საუკეთესო ბრენდი და ხარისხი თქვენს ჭიქაში

ნამდვილი ვენური ყავა, უნიკალური ჩაი, კლასიკური კაკაო და ცხელი შოკოლადი –
ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვმუშაობთ, რათა შთავაგონოთ ჩვენი მომხმარებელი
**იულიუს მაინლი** ცხელი სასმელებითა და ვამოგზაუროთ ისინი მსოფლიოს
70-ზე მეტ ქვეყანაში შთამბეჭდავ ყავასა თუ ჩაისთან ერთად

**იულიუს მაინლი** თქვენი საიმედო პარტნიორი და განუყრელი მეგზური

fb.com/JuliusMeinlGeorgia
+995 322 18 06 61
+995 577 33 51 44
officejm1862@gmail.com

Julius Meinl



# ოლეგ ტიმჩენკო

## ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ცნობილი ქართველი მხატვრის შემოქმედება და ცხოვრება

საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, არც თავის შემოქმედებაზე. მასზე ყველაზე კარგად ოლეგის ნახატები მოგვითხრობენ, რომლებიც საგამოფენო სივრცეებში, კერძო კოლექციებსა თუ ჯერ კიდევ დაუსრულებელი სახით მის სახელოსნოში ბინადრობენ. ბოლო ათი წელია, ოლეგ ტიმჩენკო სწორედ აქ ატარებს დღის უმეტეს ნაწილს, უფრო სწორად კი ღამეს, რადგან ხატვა ღამით უყვარს, როცა მის გარშემო სრული სიწყნარეა და მხატვრის ფანტაზიის, ფუნჯების, საღებავებისა და დიდი თეთრი ტილოების გარდა, ყველაფერს სძინავს.

**ოლეგ, როგორ შემოიჭრა ხატვა თქვენს ცხოვრებაში?**

ო.ტ. რაც თავი მახსოვს, სულ ვხატავ. ბაღში, სხვა ბავშვების მსგავსად, მეც ვაკეთებდი სურათიდან გადახატვებს და პატარა ჩანახატებს, თუმცა ამ ასაკიდანვე ვფლობდი თანატოლებისგან გამორჩეულ ნიჭს. რეალიზმისკენ ▶



**„წინასწარ არასოდეს ვიცი, რა უნდა გავაკეთო, თუმცა ყოველთვის ზუსტად ვიცი, რა არ უნდა გავაკეთო“**

„სკოლის დამთავრების შემდეგ, ВГИК-ში მინდოდა ჩამებარებინა. მომწონდა სამსახიობო ხელოვნება, რეჟისურა, თეატრიც ძალიან მიყვარდა, თუმცა იქ მოხვედრა ძალიან რთული იყო და რადგან ხატვა კარგად გამომდიოდა, გამოცდები სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. არასოდეს მეგონა, თუ ასე სერიოზულად შევტოპავდი ამ სფეროში“.

## „ავთო ცქვიტინიძეს გაუჩნდა იდეა, რომ გამოეყენებინა ჩემი ნახატები მის კოლექციაში და ერთად გვეთანამშრომლა. ეს პროექტი ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო ორივესთვის“

მქონდა მიდრეკილება და დახატულ ობიექტებს ძალიან ვამსგავსებდი ნამდვილს. ხატვის პროცესით ვერთობოდი, სიამოვნებას ვიღებდი, და ეს ყველაფერი იმდენად ბუნებრივად ხდებოდა, რომ კარგა ხანი ვერ ვგრძნობდი, რომ მხატვარი ვიყავი.

### პირველი გაყიდული ნახატი და პირველი ჰონორარი?

**ო.ტ.** მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა თბილისის ფონზე, შავებში ჩაცმული ორი ქალი დავხატე, უტრირებული ფორმებით, პრიმიტიულ სტილში, ხელში ჩანთებით. სერგო ფარაჯანოვმა დანახვისთანავე პირდაპირ მითხრა, რამდენად მომწონდა ამ ნახატსო. ძალიან დავიბენი, სრულიად გამოუცდელი ვიყავი, ჯერ არასოდეს გამეყიდა საკუთარი ნახატი. 200 მანეთი გადამიხადა ამ ნახატში სერგომ, ფულს კი ნაწილ-ნაწილ მაძლევდა, რომ ერთიანად არ დამეხარჯა. ახლა ეს ტილო ელდარ შენგელაიას სახლში ინახება.

### გახსოვთ პირველი გამოფენა?

**ო.ტ.** სამხატვრო აკადემიის დამთავრებისას რთული პერიოდი იყო, არაფერი იყიდებოდა. სწორედ ამ დროს, თელავში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი, სადაც იქაური ფილარმონიის პირველ სართულზე, გია ბუღაძემ გამოფენა მოაწყო და ჩემი ნახატები გამოფინა. კოლექციონერმა არჩილ დარჩიამ ჩემი ნახატი შეიძინა. შემდეგ ნახატის შესაძენად კიდევ დამიკავშირდნენ და ვიგრძენი, რომ ჩემი შემოქმედება ნელ-ნელა ცნობადი ხდებოდა, გაყიდვებიც მატულობდა. თავიდან ძალიან განვიცდიდი – მივხვდი, რომ არ მიხაროდა ნახატის გაყიდვა. წლებთან ერთად გავაცნობიერე, თუ რა საოცარია, როცა შენი შემოქმედებით ვიღაც სიამოვნებას იღებს და ტკბება.

### ყველაზე მეტად რისი ხატვა გსიამოვნებთ?

**ო.ტ.** მთავარი ჩემთვის ალბათ მაინც პროცესია, რომელსაც გავდივარ იდეიდან განხორციელებამდე. ნახატი ჯერ ჩემს გონებაში იქმნება, შემდეგ ფიქრისას იხვეწება და ბოლოს, როდესაც ხელში ფუნჯს ვიჭერ, ყველაფერი იცვლება. აქ იწყება ჭიდილი ჩემს თავთან და ცოტა ტანჯვაც. ყველაფრის ხატვა მიყვარს, თუმცა არ მიყვარს მოგონილი თემები. ერთი პერიოდი პორტრეტები მქონდა ამოჩემებული, ახლა სერიები მიტაცებს.

### ვინ არის თქვენი მთავარი მუზა? მეუღლე?

**ო.ტ.** ყველაზე ხშირად ჩემი მთავარი შთაგონების წყაროც და მუზაც ჩემი მეუღლე და შვილები არიან. მიყვარს მეუღლის – იას პორტრეტების ხატვა. პირველი და კრიტიკული შემფასებლებიც სწორედ ისინი არიან. თუ ▶

**„მთავარი ჩემთვის ალბათ მაინც პროცესია, რომელსაც გავდივარ იდეიდან განხორციელებამდე. ნახატი ჯერ ჩემს გონებაში იქმნება, შემდეგ ფიქრისას იხვეწება და ბოლოს, როდესაც ხელში ფუნჯს ვიჭერ, ყველაფერი იცვლება. აქ იწყება ჭიდილი ჩემს თავთან და ცოტა ტანჯვაც. თუ ხელოვნებაში ჩართული ხარ, შესაძლოა არ ხატო არაფერი, მაგრამ შინაგანად მზად იყო რაღაცის გასაკეთებლად“.**







„ჩემი ყველაზე დიდი სტიმული იდეაა, რომელსაც სანამ არ განვახორციელებ, ცუდად ვარ“

„ხატვისთვის არ მჭირდება განსაკუთრებული მოვლენა ან მდგომარეობა“



„მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა თბილისის ფონზე, შავებში ჩაცმული ორი ქალი დავხატე, უტრირებული ფორმებით, პრიმიტიულ სტილში, ხელში ჩანთებით. ნახატს საინტერესო ფაქტურა ჰქონდა. სერგო ფარაჯანოვმა დანახვისთანავე პირდაპირ მითხრა, რამდენად მომყიდი ამ ნახატსო“.

## „ჩემი სამყარო ძალიან ჭრელია. პალიტრაზე არ მყოფნის ფერები ჩემი სამყაროს გადმოსაცემად. ფერს მაგიური ძალა აქვს“

მათ მოეწონათ ნახატი და კმაყოფილები დარჩნენ, ესე იგი მართლა კარგია.

**როგორია ოლეგ ტიმჩენკოს სამყარო?**

ო.ტ. ქაოსური. სულ რაღაცას ვაკეთებ, სულ ვხატავ. ფუნჯები, ტილოები, საღებავები, ყოველთვის მელოდებიან და მენანება დრო ფუჭად დასაკარგად. მხატვარი იმიტომ არის მხატვარი, რომ არ არის აუცილებელი გააკეთოს სამყაროს ასლი. კარგი რეალიზმი არასოდესაა ნატურალიზმი.

**რომელია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი ნახატი?**

ო.ტ. ყველა ნახატი რაღაცით განსაკუთრებულია, თუმცა გამორჩეულად მიყვარს „მკვდარი ბეღურა“. აკადემიის დამთავრების შემდეგ, ორი წელი ხატვისთვის თავი მქონდა დანებებული და სწორედ ამ ნახატით დავუბრუნდი ფერწერას. ჩემთვის ამ ბეღურას სიმბოლური დატვირთვა აქვს. სერგო ფარაჯანოვს უნდოდა შეძენა, მაგრამ ვერ გავიმეტე გასაყიდად. ცოტა ხნით ვათხოვე და მერე ისევ დამიბრუნა.

**რამდენად მნიშვნელოვანია მხატვრობის სინთეზი მოდის სამყაროსთან?**

ო.ტ. ავთო ცქვიტინიძეს გაუჩნდა იდეა, რომ გამოეყენებინა ჩემი ნახატები მის კოლექციაში და ერთად გვეთანამშრომლა. სპეციალურად ავთანდილისთვის გავაკეთე მოდური ნახატები, რომლებზეც გამოსახული იყო ლამაზი ქალისა და მამაკაცის საპირისპიროდ მოდური ჯუჯები. ამის შემდეგ გავაკეთეთ ჯარისკაცები თოჯინის იმიჯით, და ანგელოზები. ვფიქრობ, დღეს აუცილებელია მხატვრობამ თანამედროვე მოდის სფეროს ფეხი აუწყოს, რომ იყოს აქტუალური და საჭირო.

**ცოტა ხნის წინ პრობლემები გქონდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით...**

ო.ტ. სახელოსნოში ვიყავი, როცა მოულოდნელად გულის ტკივილი ვიგრძენი და თვალის დახამხამებაში თავი საავადმყოფოში ამოვყავი. სერიოზული ოპერაციული ჩარევა დამჭირდა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი დიდ ფინანსებთანაც იყო დაკავშირებული. სწორედ მაშინ, ჩემს დასახმარებლად სხვადასხვა სახელოვნებო სფეროდან არტისტები საქველმოქმედო აქციებს და გამოფენა-გაყიდვებს მართავდნენ. როცა ყველაფერი ეს მე გავიგე, გული სიამაყით ამევსო და მივხვდი, რამხელა ძალა აქვს ხალხის სიყვარულსა და გვერდში დგომას. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. რაც მთავარია, შემიძლია ბევრი ვხატო. H

---

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: ლეკო ჭყონია
**სტილი:** თეონა ელიზბარაშვილი


GBC
CRAFT BEER
შავი ლომი
Black Lion
TRADITIONAL & CRAFT BEER BY GENUINE BREWING CO.
პირველი „კრაფტ“ ლუდი საქართველოში
ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტი
პირველად საქართველოში!
კომპანია GBC თავის მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის „კრაფტ“ ლუდ „შავი ლომი“ – „იპა“-ს, ახლა უკვე შუშის ბოთლში მოთავსებულს.
„შავი ლომი“ წარმოადგენს პრემიუმ კლასის ლუდს. არაპასტერიზირებული, ყოველგვარი დანამატის გარეშე, ხარშვისას გამოყენებულია მხოლოდ სვია, ალაო და წყალი არაფერი სხვა.
კომპანია ზრუნავს „შავი ლომი“-ს ნებისმიერი ქვებრენდის ხარისხზე, გემოზე, არომატზე და ყოველთვის ხაზს უსვამს მაღალი ხარისხის გამოყენებულ ნედლეულს.
შავი ლომი • Black Lion
shavi_lomi
IPA
INDIAN PALE ALE



# თათა სადრაძე
## „ფორტუნას“ შიდა სამზარეულოზე

თუ რადიოსიხშირეს FM 106.9-ზე მომართავთ, იმ ტალღას წააწყდებით, რომელსაც ქართველი მელომანების გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის, თავად შოუბიზნესის წევრებისთვის კი მშობლიური რადიოსადგურია. „ფორტუნა“ უკვე 20 წლის გახდა. ამ დროის განმავლობაში ჰოლდინგმა, რომელშიც ოთხი რადიოსადგური შედის, არაერთი ვარსკვლავი გამოზარდა. HELLO! ამჯერად ჰოლდინგ „ფორტუნას“ პიარსამსახურის უფროსს – თათა სადრაძეს გაესაუბრა, რომელმაც ყველაზე ცნობილი რადიოს შიდა სამზარეულოში შეგვახედა.

**წელს რადიო „ფორტუნა“ 20 წლის გახდა. რა შეცვალა ამ რადიომ ქართულ შოუბიზნესში?**
თ.ს. ჩემი აზრით, ჰოლდინგმა „ფორტუნამ“ მნიშვნელოვანი ცვლილება მოუტანა საზოგადოებას. მისი პირველი რადიოსადგური „ფორტუნა“ არა მხოლოდ მუსიკოსების სტიმულირებას ემსახურებოდა, არამედ მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მთელ მსოფლიოში რადიოები მუსიკოსების ნამუშევართა პოპულარიზაციას ემსახურება და არც საქართველოა გამონაკლისი. ფაქტია, რადიო „ფორტუნა“ ლიდერია ამ საქმეში და შოუბიზნესს ემსახურება. ეს ის პლატფორმაა, რომლის საშუალებით ძალიან ბევრი მუსიკოსი, მსახიობი თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი გახდა ცნობილი. „ფორტუნა“ ქართულ ბაზარზე უკვე 20 წელია ლიდერის პოზიციას ფლობს.

სამყარო ჩვენ გარშემო მუდმივად იცვლება. შესაბამისად, უნდა შეგეძლოს ორი ნაბიჯით წინ იყო, სწორად განსაზღვრო პრიორიტეტები და არასოდეს დარჩე ერთსა და იმავე მდგომარეობაში. პროგრესი განაპირობებს წარმატებას და ამის დასტური ის მრავალი პროექტია, რომელსაც რადიო ახორციელებს. მათ შორის გამოვყოფდი წლის სიმღერის დაჯილდოებას „ოქროს ტალღა“, რომელიც ყოველწლიურად იმართება და შოუბიზნესისთვის დიდ სტიმულს წარმოადგენს.

**რა ადგილი უჭირავს ჰოლდინგს ქართული კულტურის სფეროში?**
თ.ს. რადიო „ფორტუნა“ ბევრისთვის მშობლიური სიხშირეა. უკვე ვახსენე, რომ ჩვენთან არამხოლოდ ცნობილმა მუსიკოსებმა გაიმყარეს პოზიცია საკუთარ მსმენელთან, არამედ ბევრმა დამწყებმა მომღერალმაც სწორედ აქ აიდგა ფეხი. შესაბამისად, მათ ცხოვრებაში „ფორტუნას“ უდიდესი ადგილი უჭირავს. ისინი იზრდებიან, ვითარდებიან, უფრო და უფრო დიდ მწვერვალებს აღწევენ, თუმცა „ფორტუნა“ მათთვის შეუცვლელ რადიოდ რჩება. არ არსებობს კულტურული მოვლენები და ღონისძიებები, რომლებთანაც მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა არ აქვს ჩვენს ჰოლდინგს.

**გაიხსენეთ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებამ „ფორტუნას“ მეშვეობით გაიცნო.**
თ.ს. ასეთი ძალიან ბევრია. თითქმის ყველა მომღერალი, რომლებსაც ქართველი მსმენელი იცნობს, რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ რადიოსადგურების საშუალებით გახდა პოპულარული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 20 წელია ჩვენს 4 რადიოში პრაქტიკულად ყველა ქართველი ცნობილი თუ დამწყები მომღერლის სიმღერები ჟღერს. 20 წლის წინაც და დღესაც ერთნაირი ნდობაა ამ ჰოლდინგის მიმართ.

**ყველაზე წარმატებული გადაცემები?**
თ.ს. ყველა გადაცემა წარმატებული და საინტერესოა, თუმცა ჩემთვის Art FM ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. ეს არის პროექტი მათთვის, ვისაც სურს იყოს ქვეყნის და მსოფლიოს კულტურული მოვლენების ეპიცენტრში. კინოპრემიერები, საკონცერტო ტურნეები, თეატრალური გასტროლები, სიმღერის პრემიერები, საქველმოქმედო კონცერტები, მოდური ჩვენებები, გამოფენები და ყველაფერი ის, რაც არტკულტურის ნაწილია.

**ბოლო წლებია ჰოლდინგი უცხოელ არტისტებს აქტიურად ეკონტაქტება. გავახსენოთ მკითხველს, ვინ ჩამოვიდა საქართველოში თქვენი დამსახურებით.**
თ.ს. „ფორტუნა“ ყოველთვის აქტიურად აშუქებს მასშტაბურ ფესტივალებს, კონცერტებს და ა.შ. შესაბამისად, ჩვენს ეთერში ცნობილი უცხოელი შემსრულებლების ხმა ხშირად ჟღერს, თუმცა პირველი არტისტი პროექტი „ოქროს ტალღის“ ფარგლებში ჩამოვიყვანეთ. წელს, სპეციალურად დაჯილდოებისთვის, თბილისში ცნობილ დუეტ MODJO-ს სოლისტი – იან დესტალი ჩამოვიდა, რომელმაც „ოქროს ტალღის“ სცენაზე ძველ ჰიტებთან ერთად ახალი კომპოზიციებიც შეასრულა.



ნატო მეტონიძე და გია ყანჩელი სტუმრად თათა სადრაძის საავტორო გადაცემაში

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე. ფოტო: რადიო „ფორტუნა“.




რადიო „ფორტუნა“
ოქროს სტანდარტი FM-ზე





# თვის დღიური







## HAPPY BIRTHDAY, HELLO!





ყველაზე გლამურული, ფერადი და სელებრითების ცხოვრებაზე ორიენტირებული ჟურნალი 1 წლის გახდა. HELLO!-მ იუბილე მეგობრების წრეში, **POOL PARTY**-ზე აღნიშნა. ამავე დღეს მოხდა HELLO!-ს საიუბილეო, მე-12 ნომრის პრეზენტაციაც, რომლის გარეკანს ამჯერად ორსული **რუსკა მაყაშვილი** და მისი მეუღლე – **სანდრო ნიჟარაძე** ამშვენებენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოში ჟურნალი HELLO! პირველად გასული წლის 1 აგვისტოს გამოჩნდა. მას შემდეგ ცნობილი გამოცემის გარეკანზე არაერთი პოპულარული ქართველი მოხვდა. ყოველთვიურად, HELLO!-ს ფურცლებზე ჩვენი მკითხველი ვარკვლავების ცხოვრებიდან ექსკლუზიურ დეტალებს, თანამედროვე ტრენდებს, თავის
















მოვლის ტენდენციებს, ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ რჩევებს და ბევრ საინტერესო ინფორმაციას ეცნობა.

HELLO! მეგობრული ჟურნალია, რომელშიც ყოველთვის პირველწყაროს მიერ დადასტურებული, ექსკლუზიური ინფორმაცია იბეჭდება. ამას ჟურნალის დაბადების დღის სტუმრების სიაც მოწმობს. გამოცემის წვეულებას ჩვენი მეგობარი ცნობილი სახეები, სამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება **GINO PARADISE**-ის ოლიმპიურ აუზზე ჩატარდა. საღამოს, ტრადიციულად **DJ A2K** აფორმებდა. 1 წლის განმავლობაში HELLO!-მ 13 ყოველთვიური ნომერი და 2 დამატებითი ჟურნალი: HELLO! Décor და HELLO! Pret-A-Porter გამოუშვა. საქართველო ერთ-ერთია იმ 90 ქვეყნიდან, რომლებიც ესპანური გამოცემის გზას აგრძელებენ და ყველაზე ხარისხიან, საინტერესო, ფერად და სელებრითულ ჟურნალს ქმნიან.













საზაფხულო საჩუქარი HELLO!-სგან

პირველი 5 გამომწერი

საჩუქრად მიიღებს ქართული ხელნაკეთი აბაზანის ბომბებს ეიფორიასგან




# გამოიწერეთ

ფასდაკლებით

HELLO! GEORGIA

38 ₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით HELLO! თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# HELLO! lifestyle



სოფია ვერგარა 2017 წლის ზაფხულისთვის უპირატესობას NUDE ტონალობის სამოსსა და აქსესუარებს ანიჭებს.




SHOPPING

## GET THE LOOK!

**სოფია ვერგარამ** NUDE ტონების ერთმანეთთან შეხამება საზაფხულოდ საკმაოდ კარგად მოახერხა. ბეჟი ფერის ყვავილებიან სარაფანთან, მსახიობმა მიახლოებული ტონის მასიური ტყავის ჩანთა და კრემისფერი ქუსლიანი სანდლები მოირგო. სოფიამ მონოქრომულ LOOK-ს მინიმალისტური მაკიაჟი შეუხამა – კოლუმბიელმა ვარსკვლავმა საზაფხულო ჩაცმულობას ბორდოსფერი ტუჩსაცხი და სადად გაშლილი ტალღოვანი თმა მოუხდინა.

